



სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული
საქმეების სასამართლო პროცესების
მონიტორინგი

შუალედური ანგარიში

2021

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი

შუალედური ანგარიში



სარჩევი

შესავალი	5
მეთოდოლოგია	5
სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები	6
1. მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმე	6
2. ჟურნალისტ ვახტანგ სანაიაზე თავდასხმის საქმე	7
3. ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე	10
4. გიორგი მუმლაძის საქმე	11
5. მალხაზ მაჩალიკაშვილის საქმე	13
6. ბექა პაპაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის, პაატა ხარატიშვილისა და ტიტე გედენიძის საქმე	14
7. აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის საქმე	15
8. სამოქალაქო აქტივისტების საქმე	16
9. ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე	17
10. ბესიკ თამლიანის, ზურაბ ბუდაბაშვილის, ცოტნე სოსელიას და ვახაბერ კუპრეიშვილის საქმე	17
11. ნიკანორ მელიას საქმე	17
12. ნიკანორ მელიას და ზურაბ ადეიშვილის საქმე	19
13. მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე	19
14. მიხეილ თოდუას (მიხაილოს) საქმე	21
15. ნოდარ რუხაძის საქმე	21
17. გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. თბილისის განვითარების ფონდის საქმე)	25
18. გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგობიას საქმე	25
20. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე	28
21. ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაკავებული მოქალაქეების საქმე	28
22. ლაშა ჩხარტიშვილის საქმე	29
23. გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმე	29
24. კობა კობაძის საქმე	29
25. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კვბერაშვილისა და გიგი უგულავას სს საქმე	29
26. გიორგი რურუას საქმე	30
27. ნიკა გვარამიას საქმე	30
28. ალექსი მაჭავარიანის, ნოდარ რუხაძის და გიორგი მჟავანაძის ადმინისტრაციული საქმე	36
29-30-31. ლევან იმერლიშვილის, გიორგი ესიაშვილის და მინდია ამბარდნიშვილის საქმე (ყოფილი სპეცრაზმელების საქმე)	37
32. ზაზა ჭაავას, ზაზა მჭედლიძის და მურად ბეგლარიშვილის საქმე	38
გაჭიანურებული სამართალწარმოება	38
ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრაციული პატიმრობის პრაქტიკა	40
დისტანციური სამართალწარმოება	42
შეჯამება	42

ავტორი: გიორგი ტყეშელაშვილი
რედაქტირება: ალექსანდრე ციციტიანი, გიორგი ვაკუბაძე
მონიტორები: ანი ფორჩხიძე, თამარ ქურთაული, ნინო ჩიხლაძე



ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გაბოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: <http://www.humanrights.ge>

ვებ-საიტი: hrc.ge



ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

შესავალი

შუალედური ანგარიში ასახავს 2021 წლის 1 თებერვლიდან 10 აგვისტომდე სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს. ანგარიშში, აგრეთვე, ასახულია მედიის წარმომადგენელზე, მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე (სავარაუდოდ - პოლიტიკური მოტივით), თავდასხმის ფაქტზე მიმდინარე სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეებს საერთო სასამართლოებში აკვირდება პროექტის - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგის“ ფარგლებში. 2020 წელს დაწყებული სასამართლო პროცესებისა და საპროტესტო აქციების მონიტორინგის პროექტი¹ 2021 წლის 1 თებერვლიდან გაგრძელდა და 31 დეკემბერს დასრულდება².

2021 წლის 1 თებერვლიდან, შუალედურ საანგარიშო პერიოდამდე - 1 აგვისტომდე, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის დააკვირდნენ 9 ადმინისტრაციულ და 23 სისხლის სამართლის საქმეს. ჯამში იურისტ-მონიტორები დააკვირდნენ 91 სასამართლო სხდომას 32 საქმეზე.

მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი ხორციელდება ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე. პროექტის მიზანია მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ეროვნული კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე - ხელისუფლების სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს 3 იურისტ-მონიტორი, რომელთაც გაიარეს სპეციალური ტრენინგი სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგის სწორად წარმართვისათვის საწყის ეტაპზე შემუშავდა სპეციალური კითხვარი სასამართლო მონიტორინგისათვის. იურისტ-მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამუშავებენ სასამართლო სხდომებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც იურისტ-ანალიტიკოსი აანალიზებს და შესაბამისი ანგარიშებისთვის იყენებს.

¹ **შენიშვნა:** 2020 წელს პროექტის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა მომზადდა 5 ანალიტიკური დოკუმენტი, 1 შუალედური და 1 შემაჯამებელი ანგარიში: 1) „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/33SqhZx>. 2) „2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“: <https://bit.ly/2XUIHFh>. 3) „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/31NEpka>. 4) „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“: <https://bit.ly/2CkSOfd>. 5) „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/33NghAb>. 6) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში: <https://bit.ly/2JZ0eZh>. 7) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში: <https://bit.ly/2X54qNc>.

² **შენიშვნა:** პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორები 2020 წლის თებერვლიდან, დღემდე, ჯამში, 160 სასამართლო სხდომას დააკვირდნენ.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას.

ჩაურევლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებთან ერთად, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის.

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

2020 წლის თებერვლიდან დღემდე ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მოექცა ჯამში **32 საქმე**, რომელთაგან ნაწილის განხილვა სასამართლოში ამჟამად დასრულებულია.

- 1. მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმე.** თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს (ამჟამად - პოლიტიკური ორგანიზაციის - „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები) ბრალი ედებათ სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც განხორციელდა ჭგუფურად და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხოლო TV პირველის მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ წარდგენილი ბრალი გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარებას (25-194 მუხლის მე-2 ნაწ-ის „ა“ და მე-3 ნაწ-ის „გ“ ქვ/პ). სისხლის სამართლის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი ებანოიძე. განსახილველ საქმეზე ამ ეტაპზე მიმდინარეობს მტკიცებულებათა გამოკვლევა.

სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში, საქმეზე ჩატარდა 1 სასამართლო სხდომა. 2021 წლის 9 ივლისს, სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო დაცვის მხარის შუამდგომლობით. ადვოკატმა წარმოადგინა დოკუმენტაცია 99 გვერდად და აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ ნიდერლანდების სამეფოს მიმართა სამართლებრივი დახმარებისთვის, ხოლო იქიდან მიღებული პასუხის შემდგომ, უარი თქვა დასკვნის საქმეზე მტკიცებულებად დართვაზე. დაცვის მხარეს სურდა, საქმეზე მტკიცებულებად დართულიყო ეს დასკვნა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი თანდართული დოკუმენტით.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა დაცვის მხარის შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ამ დასკვნაზე თანდართულ დოკუმენტებს წარმოადგენენ სრულად, 203 გვერდის ოდენობით, რადგან „ამოგლეჯილად“ სასამართლოსთვის წარდგენილი მასალა შეცვლის კონტექსტს. თუ არადა, თავად დააყენებდნენ შუამდგომლობას, დასკვნის დანარჩენი დოკუმენტები და დისკიც იყოს გათვალისწინებული მტკიცებულებად.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მხარის მოსაზრებას. ასევე, არ დაეთანხმა ბრალდების შუამდგომლობას დანარჩენი დოკუმენტების მტკიცებულებად წარდგენასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ წინა სხდომაზე უარი თქვა ჰოლანდიის

მთავრობის დასკვნის მტკიცებულებად წარდგენაზე. მოსამართლემაც გააჟღერა იგივე, შეახსენა ბრალდების მხარეს, რომ მათ უარი თქვეს წინა სხდომაზე, დასკვნა და შესაბამისი დოკუმენტები დართვოდა საქმეს.

საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ დისკი, რომელიც ახსენა ბრალდების მხარემ, გადაეცემოდა დაცვის მხარეს და თუ დასკვნის და თანდართული დოკუმენტების ნუსხა იქნებოდა მითითებული, თანახმა იქნებოდნენ, დისკიც და დასკვნასთან არსებული დოკუმენტაციაც სრულად დართვოდა საქმეს, როგორც დაცვის მტკიცებულება.

სხდომაზე, ასევე, დაიკითხა ბრალდების მოწმე - ზაურ ბერუაშვილი (აუდიტორი). 2007-2008 წლებში, იგი იყო სადისტრიბუციო კომპანიის და „სამგორი 95“-ის დირექტორი. როგორც მოწმემ აღნიშნა, „სამგორი 95“-ის დირექტორი იყო ავთანდილ წერეთლის - ბრალდებულის თხოვნით. მოწმემ, ასევე, ისაუბრა „სამგორი ემ“-სა და „სამგორი ტრეიდზე“. აღნიშნა, რომ ამ კომპანიებთან 2011 წლიდან ჰქონდა პროფესიული შეხება, აწარმოებდა ფინანსური რისკების შეფასებას.

მოწმის განმარტებით, ეს კომპანიები იყო ავთანდილ წერეთლის და მისი შვილის, მაგრამ იურიდიულად სხვა პირებზე იყო გაფორმებული და დირექტორად სხვა პირები იყვნენ წარმოდგენილნი. როგორც მოწმემ განმარტა, გემოხსენებულ 2 კომპანიას თიბისი ბანკიდან ჰქონდა აღებული კრედიტი (დაახლოებით 17 მილიონი დოლარი), ფინანსური პრობლემის გადასაჭრელად. ეს თანხა შემდგომში გასესხდა ფიზიკურ პირებზე - ავთანდილ წერეთელსა და მამუკა ხაზარაძეზე. მისი განცხადებით, ამ ნაწილში საგადასახადო რისკები არ ყოფილა. ფინანსური რისკი არსებობდა.

მოწმის გადმოცემით, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ორივე მხარეს გაუჭირდა სასესხო ვალდებულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება. ფიზიკური პირების მიერ აღებული სესხი უზრუნველყოფილი არ იყო. მისი თქმით, როცა რისკებმა წამოიწია, იგი შეხვდა მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჭაფარიძეს. განუცხადა, რომ ორი გამოსავალი იყო: ან უნდა მომხდარიყო სესხის მხარეთა მიერ დაფარვა ან უნდა მომხდარიყო ამ კომპანიების ჩანაცვლება სხვა პირებით.

დაცვის მხარის შეკითხვაზე, ამ სესხებით და თავდებობით ფულის გათეთრება იყო თუ არა სახეზე, მოწმემ უარი განაცხადა (*შენიშვნა: მოწმე არის ფულის გათეთრების სპეციალიზაციით და პროკურატურის კონსულტანტი და ტრენერი ამ საკითხებზე*).

დაცვის მხარის ყველა შეკითხვაზე, მოწმემ დაცვის მხარის სასარგებლო პასუხები გასცა, რის შემდეგაც, მამუკა ხაზარაძემ მას ჰკითხა, რატომ იყო ბრალდების მხარის მოწმე. მოწმემ უპასუხა, რომ ხაზარაძეს შეეძლო, ის (მოწმე) მისი მოწმე ყოფილიყო.

ამ შეკითხვის შემდგომ, ხაზარაძემ განმარტა, რომ როგორც კი ეს სისხლის სამართლის საქმე დაიწყო, მასთან მივიდა ეს მოწმე და „გვერდში დგომა“ შესთავაზა, მაგრამ მან მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის და უთხრა, რომ ის იყო მართალი და უკანონო არაფერი გაუკეთებია, ამიტომ დახმარებაც არ იყო საჭირო³.

სასამართლო სხდომები გრძელდება. ამ ეტაპზე ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს.

2. ჟურნალისტ ვახტანგ სანაიაზე თავდასხმის საქმე. 2021 წლის 25 თებერვალს ჟურნალისტ ვახტანგ სანაიას თავს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სამი პირი დაესხა.

³ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჭაფარიძის, ავთანდილ წერეთლის სისხლის სამართლის საქმეზე: 09.07.2021.

ჟურნალისტი ოჯახის წევრებთან, მათ შორის - მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა და სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად პირადი ავტომანქანის აღმართზე აყვანას ცდილობდა. მისი თქმით, ამ დროს ბრალდებულებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, დაემუქრნენ და მისი ოჯახის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე ჯგუფურად ძალადობის ბრალდებით დააკავა სამი პირი. შსს-ს მიერ გავრცელებული ცნობით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულებმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჯგუფურად ფიზიკური ძალადობა განახორციელეს ვახტანგ სანაიასა და მისი ნათესავის მიმართ. დაკავებულ სამ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარედგინათ. საქმე საქალაქო სასამართლოში გიორგი კერატიშვილის თავმჯდომარეობით არსებითად განიხილებოდა.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 5 სასამართლო სხდომა.

2021 წლის 3 ივნისს სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ექსპერტი, რომელმაც 25 თებერვალს ვახტანგ სანაიასა და მისი მეუღლის მიმართ დანიშნული ექსპერტიზის შედეგები წარმოადგინა. ვახტანგ სანაიას, ექსპერტის განმარტებით, პირადი შემოწმებისას აღენიშნებოდა სისხლნაჟღერებები და ნაჭდეგები სხეულის სხვადასხვა მიდამოებში. დაზიანებები მიყენებული იყო ბლაგვი საგნით, რომელიც ვერ კონკრეტდება. ასევე, ვერ კონკრეტდება დაზიანების მიყენების მექანიზმი, ვინაიდან იგი არ იყო ექსპერტის შესწავლის საგანი. დაზიანებების დრო არ ეწინააღმდეგება ძალადობის ფაქტის შესახებ შედგენილი დადგენილების თარიღს.

რაც შეეხება ვახტანგ სანაიას მეუღლეს, მას აღენიშნებოდა გულმკერდის სხვა დაუზუსტებელი ტრამვა. შარვლის გარეგანი დათვალიერებით დაზიანება არ აღენიშნებოდა, მის გარეშე დათვალიერება კი მან არ ისურვა. ექსპერტმა, ასევე, მოახსენა სასამართლოს „ავერსის“ კლინიკაში ნევროპათოლოგის მიერ ვახტანგ სანაიას გასინჯვის შედეგად მომზადებული დასკვნა. დასკვნის მიხედვით, პაციენტი იყო ადეკვატური, ორიენტირებული დროსა და სივრცეში, მაგრამ ჰქონდა დისბალანსისა და არამყარობის შეგრძნება მოძრაობისას. ასევე გრძობდა გულისრევასა და თავის ტკივილს.

სასამართლო სხდომაზე, ასევე, დაიკითხა 2 პოლიციელი. ორივემ იდენტური ჩვენებები მისცა და აღნიშნა, რომ მათი მისვლისას ბრალდებულები სიტყვიერად ავლენდნენ აგრესიას ვახტანგ სანაიას მიმართ. ასევე, სხდომაზე დაათვალიერეს ვიდეოკადრები. კადრებიდან ჩანდა ბრალდებულების აგრესიული ქმედება, განწევა ვახტანგ სანაიას მანქანისკენ ან უშუალოდ ვახტანგ სანაიასკენ და მისი თანმხლები პირებისკენ. თუმცა, არ ჩანს უშუალოდ ძალადობის სცენა და მეორე მხარის ქმედებები. კადრების მიხედვით, უცნობია მიზეზი, რის გამოც ეს დაპირისპირება დაიწყო⁴.

2021 წლის 7 ივნისს სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 3 მოწმე - ის მაშველები, რომლებიც ვახტანგ სანაიას ადგილზე, ვაკეში მოყინულ გზაზე მანქანის გადაადგილებაში ეხმარებოდნენ. მოწმეები აღნიშნავენ, რომ მათი მისვლის დროს, ქალის ყვირილის ხმაზე, ორივე მხარე ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ერთმანეთისკენ იწვედა. ისინი ადასტურებენ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას, რომ

⁴ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ვახტანგ სანაიას საქმეზე: 03.06.2021.

ბრალდებულები ხელეხს იქნევდნენ, იგინებოდნენ, ვახტანგ სანაიასკენ იწვედნენ და ამისთვის ქალების მოშორებასაც ცდილობდნენ. ასევე, ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ წაქცეული ვახტანგ სანაია და ერთ-ერთი ბრალდებული წამოაყენა. დაპირისპირება რის საფუძველზე დაიწყო, მოწმეებმა არ იცოდნენ⁵.

2021 წლის 25 ივნისს სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ ბრალდებულები. ერთ-ერთმა ბრალდებულმა, ვაჟა გიგაურმა განაცხადა, რომ ვახტანგ სანაიას მიმართ აგრესიული დამოკიდებულება არ უკავშირდებოდა მის პროფესიულ საქმიანობას. მისი თქმით, ვახტანგ სანაიას გაღიზიანება გამოიწვია მის მეუღლეზე საუბარმა, რომელიც, ბრალდებულის თქმით, მისი მეზობელი იყო დიდი ხნის განმავლობაში. ბრალდებულმა განაცხადა, რომ მეუღლეზე საუბრის გამო, ვახტანგ სანაიამ ხელი მოკიდა და მისკენ მოატრიალა. მან ხელი მოუქნია სანაიას, რომელიც აცდა და ამ დროს, იგი წაიქცა. წაიქცა ვახტანგ სანაიაც და წაქცეულები ორივე ერთმანეთს ფეხებს ურტყამდნენ ფეხებში, იგინებოდნენ ერთმანეთის მისამართით. ამ დროს შეიქმნა აურზაური, კიდევ უფრო გაღიზიანდა ვაჟა გიგაური, რომელმაც განაცხადა, რომ დახმარების სურვილის ნაცვლად კონფლიქტი მიიღო. ინციდენტი იმავე სახით აღწერეს სხვა მოწმეებმაც. განაცხადეს, რომ მეგობრის გაღიზიანების გამო, თვითონაც გაბაზდნენ, გახდნენ აგრესიულები და ფიზიკურად გაუსწორდნენ ვახტანგ სანაიას, მაგრამ - არა პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე⁶.

2021 წლის 8 ივლისს ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ ჟურნალისტური საქმიანობის გამო ვახტანგ სანაიას დევნას *(ფრაზები: „არასწორ, ყალბ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევი, არასწორ მხარეს დგახარ, პროვოკატორი ჟურნალისტები ხართ“ - ვაჟა გიგაური)* და მასზე სამივე ბრალდებულის მიერ ძალადობის, ასევე - ვაჟა გიგაურის მუქარის ფაქტს ადასტურებენ სხვა მოწმეებიც. მძლოლი, ისევე, როგორც ვახტანგ სანაია, ამბობს, რომ ვაჟა გიგაურმა მოუქნია ხელი, ორივენი წაიქცნენ, ხმაურის შემდეგ კი სახელაშვილი და საყვეარაშვილიც ამოვიდნენ და ჩაერთნენ ჩხუბში.

ამავე სასამართლო სხდომაზე, პროკურორებმა მიმოიხილეს მამველების და სამართალდამცველების ჩვენებები, აგრეთვე - ბრალდებულის ჩვენებები და ექსპერტიზის დასკვნები. პროკურორების შეფასებით, დაცვის მხარის ვერსია, რომ კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე, ეჭვიანობის გამო დაიწყო, არის მოგონილი და არ შეესაბამება სხვა მტკიცებულებებს.

პროკურორმა დასკვნით სიტყვაში განმარტა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლისათვის არ არის აუცილებელი, დევნა იყოს განგრძობადი და ერთჯერადი შემთხვევაც შეიძლება, ჩაითვალოს ასეთ ქმედებად. დასასაბუთებლად მან სასამართლოს პრაქტიკა მოიშველია.

ბრალდების მხარემ მოსამართლეს სთხოვა, გამოეთანა გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის დანიშნისას გაეთვალიწინებინა სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლი - „დისკრიმინაციის შემცველი სხვა შეუწყნარებლობის მოტივი, პროფესიული საქმიანობის ნიშნით ჩადენილი დანაშაული“⁷.

⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ვახტანგ სანაიას საქმეზე: 07.06.2021.

⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ვახტანგ სანაიას საქმეზე: 25.06.2021.

⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ვახტანგ სანაიას საქმეზე: 08.07.2021.

2021 წლის 25 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ვახტანგ სანაიაზე თავდასხმის საქმესთან დაკავშირებით განაჩენი გამოიტანა: სასამართლომ ბრალდებულ სულიკო საყვეარიშვილს, დისკრიმინაციული მოტივით, ვახტანგ სანაიასთვის ფიზიკური ძალადობისათვის შეუფარდა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ხოლო გიორგი სახელაშვილი და ვაჟა გიგაური მოსამართლეებ დამნაშავედ ცნო 126-ე და 156-ე მუხლებით და მიუსაჯა 6-თვიანი პატიმრობა. დამატებით, ვაჟა გიგაურს, ასევე, დაეკისრა 2500-ლარიანი ჯარიმა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ სამივე ბრალდებულს მინიმალური სასჯელი - 6-თვიანი პატიმრობა შეუფარდა, რისი ვადაც განაჩენის გამოცხადების დღესვე - 25 აგვისტოს ამოიწურა. შედეგად, მათ საპატიმრო იმ დღესვე დატოვეს. მოსამართლეებმ, კოვიდრეგულაციებზე გეპირი მითითებით, დარბაზში არ დაუშვა დაზარალებული ჟურნალისტის, ვახტანგ სანაიას ადვოკატი, რითაც ადვოკატს შეეზღუდა სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში დაუსაბუთებელ ჩარევას.

სასამართლო განაჩენს გამოეხმაურა უფლებადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“. კოალიციის განცხადებით, ვახტანგ სანაიას საქმეზე მართლმსაჯულება სათანადოდ არ აღსრულებულა. ჟურნალისტისა და მის ოჯახის წევრებზე თავდასხმის ფაქტისადმი სასამართლოს რბილი დამოკიდებულება წარმოადგენს კრიტიკული მედიის მიმართ აგრესიის გამზრდის კიდევ ერთ საფრთხეს. ასევე, კოალიციის განცხადებით, 2021 წლის 5 ივლისიდან, მას შემდეგ, რაც თბილისში ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე მასშტაბური თავდასხმა მოხდა, მედიის წარმომადგენლების სიცოცხლე და ჯანმრთელობა განსაკუთრებული რისკის ქვეშ დადგა. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის სასამართლოს პასუხისმგებლობას, - სათანადოდ შეისწავლოს ჟურნალისტების დაშინების თითოეული მცდელობა და გადაწყვეტილება მიიღოს პოლიტიკური მოტივების გარეშე. სამწუხაროა, რომ ვახო სანაიას საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ რისკები სათანადოდ არ შეაფასა⁸.

3. ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის, სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსის, ივერი მელაშვილისა და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი მთავარი ინსპექტორის, ნატალია ილიჩოვას სისხლის სამართლის საქმეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს საზღვარგარეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ. 2021 წლის 28 იანვარს, პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, მოსამართლე ლელა კალიჩენკომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20 000-20 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა. ამასთან, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობაც ივერი მელაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. საქმე არსებითად განსახილველად მოსამართლე დალი მეტრეველს გადაეცა. საქმეზე ამ ეტაპზე ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობს.

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 2020 წლის 7 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დააკავეს. 2021 წლის 28 იანვარს, სასამართლო

⁸ იხ. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ განცხადება: <https://bit.ly/3hyaWUUn>

სხდომის პარალელურად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში მელაშვილისა და ილიჩოვას მხარდასაჭერად ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ისინი უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი.

ამასთან, გირაოს თანხის შესავროვებლად, სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიამ“ სოციალურ ქსელში ინფორმაცია გაავრცელა, რის შედეგადაც, გათავისუფლებულების დასახმარებლად წამოწყებული კამპანიის ფარგლებში, მოქალაქეების მიერ, 2 საათში გირაოს სრული თანხა – 40 000 ლარი სრულად შეგროვდა⁹.

- 4. გიორგი მუმლაძის საქმე** - სამოქალაქო აქტივისტს, გიორგი მუმლაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს - პოლიციის მუშაკის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე - აშკარად უკანონო ქმედებისთვის მის იძულებას, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. საქმე, ამ დრომდე, თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება.

სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 3 სასამართლო სხდომა.

2021 წლის 16 აპრილს სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ განმარტა, რომ აქტივისტები ცდილობდნენ ასფალტის საფარზე საღებავებით სიმბოლოების დაწერას და მოხატვას, რაზეც პოლიციამ გააფრთხილა, არ გაეკეთებინათ. აქტივისტები არ დაემორჩილნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და ეს გახდა ადმინისტრაციული დაკავების მიზეზი. ბრალდების მხარის თქმით, დაკავებით განაწყენებულმა მუმლაძემ, დაკავებისას, ფიზიკური დაზიანება მიაყენა პატრულის ორ თანამშრომელს, კერძოდ - ერთს დაარტყა სახეში, ხოლო მეორეს ხელზე უკბინა. ბრალდების მხარეს არ უსაუბრია, იყო თუ არა მუმლაძეც იმ პირთა წრეში, რომლებიც ცდილობდნენ ასფალტის საფარზე სიმბოლოების გაკეთებას, რასაც შედეგად მოჰყვა ადმინისტრაციული დაკავება.

დაცვის მხარის წარმომადგენლებმა ისაუბრეს გიორგი მუმლაძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არარსებობაზე. განმარტეს, რომ მტკიცებულებად წარმოდგენილი ჰქონდათ უწყვეტი ვიდეოკადრი და იქ არსად ჩანდა, რომ მუმლაძე ხატავდა ან ჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა საღებავი. დაცვის მხარის განცხადებით, მუმლაძის ადმინისტრაციული წესით დაკავება იყო უკანონო, მით უმეტეს, რომ მის მიმართ დაკავებისას გამოყენებული იყო არაპროპორციული ძალა - პოლიციელმა, შურისძიების მიზნით, მუმლაძეს მუშტი ჩაარტყა თავში; პოლიციელების დაკითხვის ოქმებში, ისინი არსად არ მიუთითებენ, რომ მუმლაძე გამოირჩეოდა აგრესიით. თავად „დაზარალებული“ პოლიციელიც კი არ ამბობს, რომ მას მუმლაძემ ხელი გაარტყა. სასამართლო სხდომაზე, ბრალდების დადგენილება არ ემთხვეოდა მოწმეთა ჩვენებებს.

დაცვის მხარემ, ასევე, განაცხადა, რომ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მუმლაძის მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და განზრახ ფიზიკური დაზიანებების ფაქტზე დაწყებულია გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის მიერ.

⁹ იხ.: სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ განცხადება: <https://bit.ly/3BUI8OI>

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა, ასევე, ისაუბრა, რომ იგი არ აკეთებდა წარწერებს. აღნიშნა, რომ დაკავებისას ფეხებს უჭერდნენ. ერთი პოლიციელი წელზე უჭერდა ხელს, მეორე - ყელში, რის გამოც, ვერ სუნთქავდა. მისი განმარტებით, დაკავების ეს მეთოდები წამების ტოლფასი იყო. ასევე, აღნიშნა, რომ წინა დაკავებისას ნეკნი ჰქონდა გატეხლი. ბრალდებულმა, ასევე, ისაუბრა თავისი ოჯახის მიმართ განხორციელებულ დევნაზე. კერძოდ, სასაზღვრო პოლიციაში მუშაობდა მისი ძმა, რომელიც მისი აქტიურობის გამო, უკანონოდ გაათავისუფლეს და სასამართლო დავის შემდეგ ეს საქმე მოიგო.

მხარეთა მოსმენის შემდეგ, მოსამართლემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება, შემდეგ კი გამოაცხადა განჩინება, დასაბუთების გარეშე. კერძოდ, ბრალდებული მუმლაძის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახედ, გამოიყენა გირაო - 3.000 ლარის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მომხდარიყო 20 დღის ვადაში, ხოლო ამ თანხის 50%-ის გადახდამდე მუმლაძე პატიმრობაში დარჩებოდა¹⁰.

2021 წლის 1 ივნისს სისხლის სამართლის საქმეზე გაიმართა 1-ლი სასამართლო სხდომა. ბრალდებამ განმარტა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ალბათობის მაღალი ხარისხით, დგინდება, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. ბრალდების განმარტებით, არ არსებობს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის არც ფორმალური და არც ფაქტობრივი საფუძველი და მოითხოვა საქმე გადაეცეს სისხლის სამართლის კოლეგიას არსებითი განხილვისთვის.

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მუმლაძე და სხვები აპირებდნენ ასფალტის საფარის და კედლების მოხატვას პულვირიზატორიანი საღებავით. პოლიციამ უთხრა, რომ არ განეხორციელებინათ ეს ქმედება, მაგრამ მათ ეს არ გაითვალისწინეს, რაც შეფასდა პოლიციისადმი დაუმორჩილებლობად. ადმინისტრაციული დაკავება კი სისხლის სამართლის დაკავებაში გადაიზარდა.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარეს სამართალდარღვევის ფაქტის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. დაცვის მხარე, შესაბამისად, ამტკიცებდა, რომ პოლიცია ვერ იმოქმედებდა კანონიერად იმ მოცემულობაში, როცა სამართალდარღვევა არ არსებობდა. შესაბამისად, დაკავებაც იყო უკანონო. სასამართლო პროცესზე სამართალდარღვევის ფაქტს მხოლოდ პოლიციელი მოწმეები ადასტურებდნენ.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მხარეს. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მუმლაძის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და იშუამდგომლა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, მტკიცებულებები არის ურთიერთმეთანხმებული და საქმეზე შეიძლება, გამოტანილი იყოს გამამტყუნებელი განაჩენი. ასევე განმარტა, რომ დაცვის მხარის შეფასება ფაქტთან დაკავშირებით, სცდება წინასასამართლო სხდომაზე შეფასებას და გარემოებები, არსებით განხილვის ეტაპზე მტკიცებულებათა გამოკვლევით უნდა შეფასდეს. მოსამართლის განცხადებით, ბრალდების დადგენილებაში არის მითითება, რომ ნაცვლად იმისა, გიორგი მუმლაძე დამორჩილებოდა პოლიციელებს, მან სწორედ ამის

¹⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 16.04.2021.

შემდეგ მიაყენა ფიზიკური დაზიანება მათ. შესაბამისად, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, საჭიროა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა¹¹.

2021 წლის 14 ივნისს გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე გაიმართა არსებითი განხილვის პირველი სხდომა. მხარეებმა წარმოდგინეს მტკიცებულებები და იმსჯელეს თავიანთ პოზიციებზე.

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ პოლიციას მისი დაკავების ბრძანება ჰქონდა. მისი თქმით, იგი პოლიტიკური ნიშნით პოლიციის დევნის ობიექტია, განსხვავებული ამრის გამო. ასევე, განაცხადა, რომ პოლიციელთა მხრიდან, მის მიმართ ჩადენილი ძალადობის 6 სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს მოკვლევა. თუმცა, ეს პოლიციელები დაკავებულ თანამდებობას დღემდე იკავებენ.

აღნიშნულ სხდომაზე, მთავარ საკითხს ადმინისტრაციული დაკავების, შემდგომში კი, სისხლის სამართლის წესით დაკავების კანონიერების შეფასება წარმოდგენდა¹².

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი უნდა იყოს მაშინ, როცა სამართალდამცავი მოქმედებს სამართლებრივი საფუძვლით, კონსტიტუციურ ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, პოლიცია სამართლებრივი საფუძვლით არ მოქმედებდა. ეს ქმედება (ქალაქის იერსახის დამახინჯება) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა რომც ყოფილიყო, პოლიციას მისი დაკავების უფლება მაინც არ ჰქონდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს მერიის ბედამხედველობის სამსახური. პრაქტიკაშიც ასეა, როცა ასეთი სამართალდარღვევის ფაქტია, პოლიცია აფიქსირებს ფაქტს და ამის საფუძველზე მერიის ბედამხედველობის სამსახური ადგენს შესაბამის აქტს. დაკავებაც ხდება სამართალდარღვევაზე და არა - პრევენციამზე. ამასთან, საქმეში არ არსებობს მასალა, რაც დაამტკიცებს, რომ მუმლაძე ჩადიოდა სამართალდარღვევას. პოლიცია მოქმედებდა პრევენციის ფარგლებში და არა ფაქტზე. ჩხრეკის ოქმითაც დასტურდება, რომ მის ჩანთაში არ იყო პულვირიზატორი და არც თან ჰქონდა. დაკავების დროს არაპროპორციული ძალა იყო გამოყენებული და მუმლაძის ქმედება თავის გათავისუფლებისთვის სრულიად ლეგიტიმური იყო.

5. მალხაზ მაჩალიკაშვილის საქმე - 2021 წლის 6 ივლისს მალხაზ მაჩალიკაშვილი პოლიციამ რუსთაველის გამზირზე აქციის მიმდინარეობისას დააკავა. ადვოკატის განცხადებით, მაჩალიკაშვილი იმყოფებოდა საპროტესტო აქციაზე - „თავისუფლებისთვის“ და გამოხატავდა პროტესტს. მეორე მხარეს მყოფმა ძალადობრივმა ჯგუფებმა მალხაზ მაჩალიკაშვილი იცნეს, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკურადაც ინევდნენ მასზე - ცდილობდნენ ჭებირებს მიღმა გადასვლას და მას საფრთხეს უქმნიდნენ. მალხაზ მაჩალიკაშვილი პოლიციელებმა გაიყვანეს ტერიტორიიდან და როგორც შემდეგ გაირკვა - დააკავეს პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის – 166-ე და 173-ე მუხლებით. საქმის არსებითი განხილვის გადადების შუამდგომლობა 7 ივლისს დაცვის მხარემ დააყენა, საქმის მასალების გაცნობისა და დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. ამავე დღეს მაჩალიკაშვილი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.

¹¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 01.06.2021.

¹² ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 14.06.2021.

საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე კობა ჩაგუნავა განიხილავს.

სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე 2 სასამართლო სხდომა ჩატარდა. სასამართლოს პირველ ინსტანციაში საქმე დასრულებულია.

პირველ სასამართლო სხდომაზე, 2021 წლის 23 ივლისს, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მოწმე პოლიციელი იყო. მოწმე პოლიციელები ფაქტობრივ გარემოებებს აღწერდნენ არადამაჯერებლად, არათანმიმდევრულად და ერთმანეთისგან განსხვავებულად. გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე მოწმე პოლიციელი ხან ამტკიცებდა მალხაზ მაჩალიკაშვილის მხრიდან დაკავებისას წინააღმდეგობის განწევის ფაქტს, ხან კი, აღნიშნავდა, რომ მას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ბრალდების მხარის მიერ არ იყო წარმოდგენილი ნეიტრალური/ობიექტური მტკიცებულებები. სასამართლო სხდომაზე მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები იყო წარმოდგენილი, რომლებიც, დიდი ალბათობით, იყვნენ სუბიექტურად დაინტერესებული პირები¹³.

რაც შეეხება დანის ქონის ფაქტს, მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ მე-4 წელია, კარავში ცხოვრობს და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, საჭიროა, დანა ჰქონდეს, ელემენტარულად რამის გასაჭრელად. განმარტა, რომ აქვს პატარა დანა, რომელიც 6 ივლისსაც, დაკავების დროს ჯიბეში ჰქონდა, რომელიც წინა დღეს (5 ივლისს), ძალადობრივი ჯუფების მიერ კარავების დარბევისას, მიწოლისას, ჯიბეში გაეხსნა და დასაკეცად ამოიღო.

მიუხედავად დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა, რითაც მტკიცდებოდა მაჩალიკაშვილის უდანაშაულობა, 2021 წლის 30 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა განჩინების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლთან მიმართებით შეწყდა საქმე, მაჩალიკაშვილი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად 166-ე მუხლის 1-ელ და 174-ე მუხლის მე-4 ნაწილში და დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით¹⁴.

6. ბექა ჰაპაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის, პაატა ხარატიშვილისა და ტიტე გედენიძის საქმე - ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება 2021 წლის 3 ივნისს, გენერალურ პროკურატურასთან, ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამართულ საპროტესტო აქციაზე დაკავებული ოთხი სამოქალაქო აქტივისტის - ბექა ჰაპაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის, პაატა ხარატიშვილისა და ტიტე გედენიძის სასამართლო პროცესს. აქტივისტები დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. საქმეს იხილავს თბილისის

¹³ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მალხაზ მაჩალიკაშვილის ადმინისტრაციული დაკავების საქმეზე: 23.07.2021.

¹⁴ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მალხაზ მაჩალიკაშვილის ადმინისტრაციული დაკავების საქმეზე: 30.07.2021.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილი. საანგარიშო პერიოდში სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა.

7. აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის საქმე. ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვას¹⁵. ბრალდებულებს ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რაც გულისხმობს: მოხელისათვის პირდაპირ მის სასარგებლოდ ფულის შეთავაზებას, რათა მან თანამდებობრივი უფლების განხორციელების და მოვალეობის შესრულებისას ქრთამის მიძღვმის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ასევე - ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში; ასევე - ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ე.ი. მის ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ჩადენილი ჯგუფურად. დამატებით, ბრალდებულ აკაკი კობალაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნასა და შენახვას. 2020 წლის 10 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მათ გირაოს სახით 10 000 ლარის გადახდა დაეკისრათ. საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კერატიშვილი.

სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა.

2021 წლის 31 მაისს, სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ იშუამდგომლა ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე დართვისა და ექსპერტის დასაკითხ პირთა სიაში შეყვანის თაობაზე. პროკურორის განაცხადებით, 2020 წლის 3 დეკემბერს საქმე გადავიდა არსებითი განხილვის ეტაპზე და 2020 წლის 10 დეკემბერს ჩანიშნული იყო არსებითი განხილვის სხდომა, მაგრამ მანამდე ბრალდების მხარეს დანიშნული ჰქონდა ბიოლოგიური ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზის დასკვნა მიღებულ იქნა 24 მაისს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო მისი ამ დრომდე წარმოდგენა. დაცვის მხარემ მოითხოვა სასამართლო სხდომის გადადება აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციისა და შესავალი სიტყვის მოსამზადებლად. მოსამართლემ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა და მოუწოდა ორივე მხარეს, შემდგომი სხდომისათვის მზად ყოფილიყვნენ შესავალი სიტყვის წარსადგენად¹⁶.

2021 წლის 9 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობები ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე დართვისა და ექსპერტის დასაკითხ პირთა სიაში შეყვანის თაობაზე,

¹⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/3ix8huU>

¹⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში აკაკი კობალაძისა და აკაკი ხუსკივაძის საქმეებზე: 31.05.2021.

ასევე - კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნისა და მისი შემდგენი პირის დასაკითხ პირთა სიაში შეყვანის თაობაზე. ამავე სხდომაზე, მხარეებმა წარადგინეს შესავალი სიტყვა.

დაცვის მხარემ თავის შესავალ სიტყვაში ყურადღება გაამახვილა წარდგენილი ბრალის აბსურდულობასა და მის ფორმალურ კავშირზე სისხლის სამართალთან. კერძოდ, ადვოკატის მტკიცებით, ქრთამის შეთავაზებაზე ბრალი წარდგენილია ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე და არ არსებობს იმ პირის ჩვენება, ვისაც სავარაუდოდ ქრთამი შესთავაზეს. გარდა ამისა, საქმე ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს. სისხლის სამართლის საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია რიგი დარღვევებით. თანხა, რომელიც სავარაუდოდ ბრალდებულებმა შესთავაზეს გარდაცვლილ თედორე გობეჯიშვილს - 50 000 დოლარი, არ ამოღებულა არც ერთი ბრალდებულის ბინიდან, ასევე - არ ფიქსირდება მათ საბანკო ანგარიშებზე. ადვოკატმა ხაზი გაუსვა საქმის პოლიტიკურ ელფერს და მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ დაინტერესებას ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებაში¹⁷.

2021 წლის 28 ივნისს, სასამართლო სხდომაზე გაგრძელდა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა. სასამართლოს წინაშე მოწმის სახით დაიკითხნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს გამომძიებელი და უფროსი გამომძიებელი. გამომძიებლებმა ისაუბრეს მათ მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებზე, კერძოდ - პატაკის საფუძველზე ბინის ჩხრეკისა და სხვა გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებზე.

დაცვის მხარემ ერთ-ერთ მოწმეს დაუსვა კითხვა - ხომ არ წარმოადგენდა ჩხრეკის ჩატარების საფუძველს აკაკი ხუსკივაძის საქმიანობა. კერძოდ, მისი ჩართულობა საარჩევნო გარემოში და ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების სქემების გაშიფრვაში აქტიურობა. ამ კითხვაზე გამომძიებელმა უპასუხა, რომ ჩხრეკის საფუძველი იყო პატაკი¹⁸.

2021 წლის 1 ივლისს სასამართლო ისევ ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით გაგრძელდა. სასამართლოს წინაშე მოწმის სახით დაიკითხნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს გამომძიებლები. მათ განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ისაუბრეს¹⁹.

8. სამოქალაქო აქტივისტების საქმე - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2021 წლის 16 იანვრის საპროტესტო აქციაზე დაკავებული 7 აქტივისტის (*ირაკლი ფავლენიშვილი, გივი ცინცაძე, ფარნავაზ გრიგოლია, ვანო მაღალაშვილი, ნიკოლოზ კვიციანი, ნიკოლოზ ნარსია და დავით დიღმელაშვილი*) სასამართლო პროცესს. აქტივისტები დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე, რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. სასამართლომ საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოება 166-ე მუხლის ნაწილში შეწყვიტა, ხოლო 173-ე მუხლის ნაწილში აქტივისტები სამართალდამრღვევებად ცნო და თითოეულს 1200-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. საქმე განიხილა მოსამართლე ნათია მერაბიშვილმა.

¹⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში აკაკი კობალაძისა და აკაკი ხუსკივაძის საქმეებზე: 09.06.2021.

¹⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში აკაკი კობალაძისა და აკაკი ხუსკივაძის საქმეებზე: 28.06.2021.

¹⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში აკაკი კობალაძისა და აკაკი ხუსკივაძის საქმეებზე: 01.07.2021.

9. **ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე** - საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნაკრესის“ თანამშრომელს, ბეჟან ლორთქიფანიძეს ბრალი წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. ბეჟან ლორთქიფანიძე ბრალს არ აღიარებს. ბრალდება უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. საველე ბიოლოგი და ველური ბუნების მკვლევარი ბეჟან ლორთქიფანიძე 2019 წლის 20 ივნისს დააკავეს. მას შეფარდებული ჰქონდა 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა. ამ დროისთვის ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით 5000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითად იხილავს მოსამართლე დავით მგელიაშვილი.
10. **ბესიკ თამლიანის, ზურაბ ბუდალაშვილის, ცოტნე სოსელიას და კახაბერ კუპრეიშვილის საქმე.** ბესიკ თამლიანს, ზურაბ ბუდალაშვილს, ცოტნე სოსელიას და კახაბერ კუპრეიშვილს ბრალი წარედგინათ საქართველოს სსკ-ს 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. საქმეზე პროკურატურასა და ბრალდებულებს - ზურაბ ბუდალაშვილს, ცოტნე სოსელიასა და კახაბერ კუპრეიშვილს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება. 2020 წლის 23 მარტს ბესიკ თამლიანის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე შეიცვალა 4000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ. მან დატოვა პენიტენციური დაწესებულება. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბესიკ თამლიანი ოპოზიციური ბლოკის „ენმ - ძალა ერთობაშია“ საარჩევნო სიით იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი. ბესიკ თამლიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში კვლავ გრძელდება. სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს მოსამართლე ალექსანდრე იაშვილი.
11. **ნიკანორ მელიას საქმე** - პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, ნიკანორ მელიას ბრალი წარედგინა აქვს საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ეს საქმე უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. 2021 წლის 17 თებერვალს სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გირაოთი შეცვლის თაობაზე. 2021 წლის 10 მაისს სასამართლომ, ასევე, დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის უფრო მსუბუქი სახით შეცვლის თაობაზე. კერძოდ, ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა შეიცვალა 40 000-ლარიანი გირაოთი. გირაოს თანხა გამოყო ევროპულმა ფონდმა დემოკრატიისთვის (EED) ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის თავმჯდომარეობით გრძელდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი²⁰.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი აკვირდება ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ყველა სასამართლო სხდომას. საანგარიშო პერიოდში საქმეზე 13 სასამართლო სხდომა ჩატარდა²¹.

საანგარიშო პერიოდში, თითქმის ყველა სასამართლო სხდომაზე დაცვის მხრიდან ისმოდა პოლიტიკური განცხადებები. ასევე, დაცვა ყურადღებას ამახვილებდა საქმის პოლიტიკურ მოტივებზე.

2021 წლის 13 აპრილს, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე. კერძოდ, მხარე ითხოვდა ტელემედიაში გავრცელებული ირაკლი კობახიძის ინტერვიუს დართვას. ამ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე საუბრობს 2021 წლის 17 თებერვალს 17:00 საათზე თანამდებობის პირებს შორის გამართულ დისკუსიაზე, ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის აღსრულებისათვის სხვადასხვა საშუალების გამოყენების თაობაზე.

2021 წლის 14 აპრილს სასამართლო პროცესზე ხშირად ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას ადგილი, როგორც ბრალდებულსა და მოსამართლეს, ასევე, მოსამართლესა და ადვოკატებს შორის. მოსამართლე შეეცადა, ბრალდებულისათვის და მისი ადვოკატებისათვის შეეზღუდა სიტყვის თქმის უფლება, როდესაც პოზიციის წარდგენა პოლიტიკური ხდებოდა. თუმცა, ის ვერ ახერხებდა დაცვის მხარის ხმის გადაფარვას და ხშირ შემთხვევაში, ვერ მართავდა პროცესს. ასევე, მოსამართლე ვერ უზრუნველყოფდა სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას, რისთვისაც მას აქვს კანონმდებლობით მინიჭებული კონკრეტული ბერკეტები. კერძოდ, სსსკ-ის 85-ე მუხლით განწერილი პროცედურები.

წინა პროცესების მსგავსად, საზოგადოების მაღალ ინტერესზე მითითებით, დაცვის მხარემ რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა პირდაპირი ტრანსლაციით პროცესის გაშუქების თაობაზე, რასაც სასამართლო არ აკმაყოფილებდა. ამასთან დაკავშირებით, დაცვის მხარე აღნიშნავდა, რომ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს არ სურდა სასამართლოს მიმდინარე მოვლენები საზოგადოებისთვის ცნობილი გამხდარიყო და ასევე, ჰქონდა ეჭვი, რომ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის - გირაოს პატიმრობით შეცვლის საკითხთან დაკავშირებით, მოსამართლეს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, მაღალჩინოსნების მითითების თანახმად.

დაცვის მხარემ მოითხოვა, ასევე, შსს-ს ყოფილი თანამშრომლის, ივანე გულაშვილის ინტერვიუს დართვა საქმეზე. ინტერვიუში გულაშვილი აცხადებს, რომ შს მინისტრის მოადგილის ბრძანებით განადგურდა საქართველოს პარლამენტის წინ და გვერდითა ფასადზე არსებული ვიდეოკამერის ჩანაწერები. ამ ჩანაწერების გამოთხოვაზე დაცვის მხარეს უარი ეთქვა. ასევე, ამ ჩანაწერებს არ ფლობს ბრალდების მხარე,

²⁰ იხ.: „2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/2XUIHFn>

²¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშები ნიკანორ მელიას სისხლის სამართლის საქმეზე: 17.02.2021; 08.04.2021; 13.04.2021; 29.04.2021; 10.05.2021; 13.05.2021; 21.05.2021; 25.05.2021; 27.05.2021; 03.06.2021; 10.06.2021; 15.06.2021; 24.06.2021.

ვინაიდან ისინი განადგურდა ბრალდების მხარის დანაშაულის ადგილზე მისვლამდე, რაც სახალხო დამცველის 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული ანგარიშითაც მტკიცდება. **დაცვის მხარე აპელირებს საქმეში მტკიცებულებათა განზრახ განადგურებაზე, მალაჩინოსანთა, ძალოვანი სტრუქტურების ჩართულობასა და დაინტერესებაზე.**

ადვოკატების განცხადებით, გამომდინარე იქედან, რომ ყველა ეს ფაქტობრივი გარემოება ცნობილი გახდა 2021 წლის 21 მარტს, დაცვის მხარემ ვერ უზრუნველყო ამ მტკიცებულებათა არსებით განხილვამდე წარდგენა. ამიტომ სასამართლო სხდომაზე, სსკ-ის 93-ე და 233-ე მუხლების საფუძველზე, იშუამდგომლეს ირაკლი კობახიძისა და ივანე გულაშვილის ინტერვიუების საქმეზე ახალი მტკიცებულების სახით დართვისა და დასაკითხ მონმეთა სიაში მათი შეყვანის თაობაზე. ეს შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე დაკითხული ბრალდების მხარის მონმეთა ჩვენებები ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებენ ნიკანორ მელიას ბრალულობას.

სასამართლო პროცესებზე დაცულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად დააყენონ შუამდგომლობები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრება მონინაადმდევე მხარის შუამდგომლობებზე. თუმცა, პრობლემურია დაცვის მხარის შუამდგომლობების განხილვისა და დაკმაყოფილების საკითხები, რადგან რიგ შემთხვევებში, უარის თქმის საფუძველები აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია.

12. ნიკანორ მელიას და ზურაბ ადეიშვილის საქმე. სასამართლო პროცესი მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ნიკანორ მელიას, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან ერთად, ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ნიკანორ მელია გამართლდა სსკ-ის 205¹ მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, რაც გულისხმობს ქონების დამალვას მოჩვენებით ან თვალთმაქცური გარიგებით. საქმეს სააპელაციო სასამართლოში იხილავს ვეფხია ლომიძე.

13. მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე - საქართველოს ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და სახელმწიფო დაცვის ყოფილ უფროსს, თეიმურაზ ჯანაშიას ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 182-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, რაც გულისხმობს საბიუჯეტო თანხების დიდი ოდენობით (8 837 461 ლარი) გაფლანგვას. პროკურატურის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილსა და თეიმურაზ ჯანაშიას შორის უკვე არსებული შეთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიერ მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირებისათვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ განეული მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი განიხილავს.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში²².

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე მხოლოდ ორი სასამართლო სხდომა ჩატარდა.

2021 წლის 2 თებერვალს, საქმის განხილვა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით უნდა გაგრძელებულიყო (წერილობითი მტკიცებულებების მე-7 ტომი), მაგრამ ტექნიკური ხარვეზის გამო, ხმა არ ისმოდა, რაც გახდა სხდომის გადადების საფუძელი დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. ამ სხდომაზე, მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების საკითხი განიხილეს.

დაცვის მხარემ განმარტა, რომ საქმე პოლიტიკურად მოტივირებული იყო. დაცვის მხარის მტკიცებით, ცალსახად ნათელია, რომ სააკაშვილის მიმართ გამოყენებული პატიმრობა არ შეესაბამებოდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძვლებს და მოითხოვა პატიმრობის გაუქმება. ბრალდების მხარემაც დააფიქსირა მოსაზრება, მაგრამ კერძოდ, რა აზრი გამოთქვა, დისტანციურ პროცესზე ხმის პრობლემის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორმა ვერ მოისმინა.

მოსამართლემ, შესაბამისი სამართლებრივი მსჯელობის გარეშე, შეიძლება ითქვას, შაბლონური გადაწყვეტილებით, ძალაში დატოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა. მოსამართლემ მხოლოდ ის განმარტა, რომ არ არსებობს რაიმე ახალი გარემოება, ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება მსჯელობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ²³.

2021 წლის 30 მარტს, სისხლის სამართლის საქმეზე, კიდევ ერთი სასამართლო სხდომა ჩატარდა. კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, სხდომას დაცვის მხარის წარმომადგენლები, დისტანციურად - Webex პროგრამის მეშვეობით ესწრებოდნენ, ხოლო ბრალმდებლები - სასამართლო სხდომის დარბაზიდან. უმეტესწილად, ბრალმდებლებისა და მოსამართლის ხმა არ ისმოდა, ტექნიკური მიზეზებიდან გამომდინარე.

საქმის განხილვა ბრალდების მხარის წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევით გაგრძელდა. სხდომაზე მტკიცებულებების მხოლოდ სათაურს/დასახელებას კითხულობდნენ და არ ეხებოდნენ შინაარსობრივ მხარეს. არც დაცვის მხარეს დაუსვამს შეკითხვა და არც კომენტარი გაუკეთებია მტკიცებულებასთან ან მის შინაარსთან დაკავშირებით .

ამავე სასამართლო სხდომაზე გადაიხედა სააკაშვილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის საკითხი, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. თუმცა, მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების ფორმა - პატიმრობა კვლავ ძალაში დატოვა, იმ საფუძველით, რომ გამოსაკვლევია იყო

²² იხ. გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წელი.:<https://bit.ly/3lQ4qeA>

²³ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეებზე: 02.02.2021.

მოცულობითი მტკიცებულებები, დასაკითხი იყო უამრავი მოწმე და შესაძლოა, ბრალდებულებს ზეგავლენა მოეხდინათ მათზე²⁴.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მოსამართლის ეს არგუმენტი ვერ ამტკიცებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძვლებს და არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, რადგან ბრალდებულები, მიუხედავად მათ მიმართ გამოყენებული პატიმრობის ღონისძიებისა, იმყოფებიან თავისუფლებაში და ლოგიკურად, ეს რისკები ამ ეტაპზეც არსებობს.

14. მიხეილ თოდუას (მიხაილოს) საქმე - 2013 წლის 25 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მიხეილ თოდუას მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. მას მსჯავრი დაედო ნარკოტიკული დანაშაულისთვის, კერძოდ - კლუბური ნარკოტიკის შეძენის, შენახვისა და მისი მოხმარებისათვის. 2019 წლის 11 ოქტომბერს, მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა შინაპატიმრობით, 2 წლისა და 11 თვის ვადით. მას დაევალა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნა 21:00 საათიდან 08:00 საათამდე. 2020 წლის 11 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა თბილისის პრობაციის ბიუროს წარდგინება, მიხეილ თოდუას მიმართ გამოყენებული შინაპატიმრობის გაუქმებისა და საპატიმრო სასჯელის გამოყენების თაობაზე იმ მოტივით, რომ მან დაარღვია შინაპატიმრობის პირობები და 17 ოქტომბერს 22:00 საათზე დაუკრა პარტია „გირჩის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე. მოსამართლის გადაწყვეტილებით, პრობაციის ბიუროს წარდგინება თავისუფლების აღკვეთის სასაჯელის სახედ გამოყენებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა. პრობაციის ბიურომ სასამართლო სხდომაზე წარმოადგინა, ასევე, ალტერნატიული მოთხოვნა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა და მიხეილ თოდუას დაეკისრა შინ ყოფნის ვალდებულება 19:00 საათიდან 08:00 საათამდე, ნაცვლად 21:00-08:00 საათის პერიოდისა.

15. ნოდარ რუხაძის საქმე - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 23 თებერვალს პარლამენტთან დაკავებული მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტის, ნოდარ რუხაძის ადმინისტრაციული საქმის სასამართლო სხდომას. სამართალდამცავებმა იგი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე დააკავეს. მოსამართლემ ნოდარ რუხაძე სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის ზომად 2000-ლარიანი ჯარიმა განუსაზღვრა. საქმე ზემდგომ ინსტანციაში არ გასაჩივრებულა.

სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 1 სასამართლო სხდომა .

2021 წლის 23 თებერვალს, სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ ისაუბრა ნოდარ რუხაძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე. ახსნა-განმარტება ზედპირული და ზოგადი იყო. მხარემ ვერ დაასაბუთა, კონკრეტულად რით გამოიხატა სამართალდარღვევა, რატომ იყო დაკავება აუცილებელი საშუალება სამართალდარღვევის აღსაკვეთად და იყო თუ არა პროპორციული ძალა დაკავებულის მიმართ გამოყენებული (რუხაძის დაკავების პროცესში მონაწილეობდა 7 პოლიციელი).

²⁴ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეებზე: 30.03.2021.

მსს-ს წარმომადგენლები იმეორებდნენ, რომ ნოდარ რუხაძე იღვა პარლამენტის გვერდითა შესასვლელის ჭიშკართან, საიდანაც მუდმივად შედიოდნენ და გამოდიოდნენ მანქანები იმ დღეს პარლამენტში მიმდინარე „რაღაც ღონისძიების“ გამო.

სასამართლო სხდომაზე, წარმომადგენლები განმარტავდნენ, რომ ნოდარ რუხაძე, მათი მისამართით იძახდა „მონას“, რაც მათთვის შეურაცხმყოფელი იყო. თუმცა, მოსამართლის თხოვნისას ნათლად ვერ განმარტეს ამ ფაქტის სამართალდარღვევის შინაარსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლთან კავშირში. ვიდეოში ნათლად ჩანს, რომ ნოდარ რუხაძე პოლიციელთა მისამართით „მონას“ არ იძახდა. პოლიციის წარმომადგენლებმა ამის შემდეგ განმარტეს, რომ რუხაძე მათ მანქანაში ეძახდა მონებს, მაგრამ ამ ფაქტის მტკიცებულება სხდომაზე ვერ წარმოადგინეს. ასევე, მოწმეებმა ვერ ახსნეს, რატომ იყო პრობლემა ნოდარ რუხაძის მიერ ადგილზე მწვანილით ხელში მისვლა. ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განმარტა, რომ მან უბრალოდ აღნიშნა ეს ფაქტი. თუმცა, სწორედ ამ ფაქტის აღნიშვნით დაიწყო პასუხი კითხვაზე, თუ რა სამართალდარღვევა ჩაიდინა ნოდარ რუხაძემ. პოლიციელები ასევე აღნიშნავდნენ, რომ ადგილის დატოვების შესახებ გაფრთხილება ორჯერ მისცეს ნოდარ რუხაძეს, მაგრამ იგი ამას არ დაემორჩილა - არ შეასრულა მათი კანონიერი მოთხოვნა.

ადვოკატების კითხვაზე, თუ რა დრო მისცეს სამართალდამრღვევს მოთხოვნის შესასრულებლად, უპასუხეს, რომ შესაძლოა 5 წუთიც კი. თუმცა, მათ სწორედ ასე უთხრეს მოსამართლეს, რომ ვერ დაიწყებდნენ ცდას, როდის დატოვებდა ნოდარ რუხაძე ტერიტორიას და როდის მისცემდა მანქანებს საშუალებას, გამოსულიყვნენ პარლამენტის ჭიშკრიდან.

პოლიციის წარმომადგენლების ახსნა-განმარტებისას და პაექრობის ეტაპზე გამოვლინდა, რომ მათ აშკარად იცოდნენ, ვინ იყო ნოდარ რუხაძე, შეუმჩნევიათ მისი აქტიურობა და ჩამოყალიბებული ჰქონდათ წინასწარი ნეგატიური განწყობა მის მიმართ. ერთ-ერთმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ნოდარ რუხაძე ზოგადად არის აგრესიული და სამართალდარღვევის მომენტშიც აგრესიულად იქცეოდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, თუნდაც რეალური ყოფილიყო პოლიციელების მოლოდინი, რომ ნოდარ რუხაძე პარლამენტის ჭიშკარში მანქანის შესვლის ან გამოსვლისას არ დატოვებდა ტერიტორიას, მისი დაკავების საჭიროება მაინც ვერ საბუთდება. კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა (ტერიტორიის დატოვება, გადანაცვლება) იმთავითვე არ წარმოშობს პირის დაკავების აუცილებლობას.

პოლიციის წარმომადგენლები ვერ ასაბუთებდნენ, რა საფრთხის გამო, რის აღსაკვეთად გახდა საჭირო დაკავება და რატომ არ იყო საკმარისი ნოდარ რუხაძის უბრალოდ გვერდზე განევა იმწუთიერად, როდესაც პარლამენტის ჭიშკარში მანქანა ან შემოვიდოდა, ან გავიდოდა. რატომ არ შეეძლო შვიდ პოლიციელს, დაერეგულირებინა ერთი მანქანის ადგილზე თუნდაც შეყოვნება და ნოდარ რუხაძის ჭიშკრიდან ორი მეტრის დაშორებით გაყვანა, თუკი საფრთხე შეექმნებოდა მის ან მანქანაში მყოფების ჯანმრთელობას. ან, თუ სხვა საფრთხე და აუცილებლობა არსებობდა მისი ადგილიდან გარიდების, დაკავების, რა იყო ეს საფრთხე? აგრეთვე, ვერ დასაბუთდა „ღონისძიებაზე წესრიგის დაცვა“ რატომ იყო აღმატებული ინტერესი ერთი პირის მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე.

რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რატომ აკავებდა მას 7 ადამიანი, მიუთითებს, რომ რუხაძე წინააღმდეგობას უწევდა. ასევე, დასასაბუთებელი იყო, მიუხედავად წინააღმდეგობისა, რა რისკი არსებობდა ნოდარ რუხაძის მხრიდან, პოლიციელების მიერ ძალის

გამოუყენებლობის შემთხვევაში, რას შეექმნებოდა საფრთხე და რატომ იყო ამ საფრთხის დაძლევა უპირატესი²⁵.

16. გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. აეროპორტის საქმე). პროკურატურის 2019 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით, ქალაქ თბილისის ყოფილ მერს, გიორგი უგულავას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების ვერსიით, გიორგი უგულავამ ბ. გ.-ს მიაყენა ფიზიკური დაზიანება. დაცვის მხარე კი აცხადებს, რომ ბ. გ. პირიქით - პროვოკაციულად თავს დაესხა „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს - გიორგი უგულავას და გიორგი გაბაშვილს. დაახლოებით ერთი წლის თავზე, 2021 წლის 3 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ბადრი კოჭლამაზაშვილმა საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე 3 სასამართლო სხდომა ჩატარდა.

2021 წლის 3 ივნისს დაიწყო გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა. სასამართლო სხდომაზე სასამართლომ გამოარკვია, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე არ მიმდინარეობს. ბრალდების მხარემ აღნიშნა, რომ ამ მუხლზე (სსკ-ის 126-ე მუხლი) ვრცელდებოდა ამნისტია, თუ დაზარალებულის თანხმობა იქნება საქმეში. გიორგი უგულავამ განმარტა, რომ უარს ამბობს ამნისტიაზე და ბოლომდე იბრძოლებს სასამართლოს გზით სიმართლის დასამტკიცებლად, რადგან აეროპორტში მასზე თავდასხმა იყო ორგანიზებული სუს-ის მიერ, ბიძინა ივანიშვილის დაკვეთით. ბრალდების მხარემ კვლავ დააფიქსირა პოზიცია, რომ მნიშვნელოვანია დაზარალებულის პოზიციის მოსმენა და ამნისტიის ფარგლებში მოქცევა, მიუხედავად იმისა, ბრალდებული ეთანხმება თუ არა ამნისტიის გამოყენებას. მოსამართლემ განმარტა, რომ ამნისტია ვერ გავრცელდებოდა საქმეზე და სისხლის სამართლებრივი დევნა ვერ შეწყდებოდა, თუ საქმეში არ იქნებოდა ორივე მხარის თანხმობა.

სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს შესავალი სიტყვა. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ დაიკითხებოდნენ თავად დაზარალებული, მოწმეები და ექსპერტები, რომლებიც დაადასტურებდნენ გიორგი უგულავას მიერ დანაშაულის ჩადენას.

დაცვის მხარის თქმით, საქმე არის ნათელი მაგალითი, თუ როგორ დევნის ადამიანს ხელისუფლება. გიორგი უგულავას განცხადებით, მას ნანახი აქვს ვიდეოკამერების კადრები, დათვალა იერებაშიც აქვს მონაწილეობა მიღებული. კარგად ჩანს კადრებში, როგორ ჩაუსაფრდნენ გავაშელიშვილი და პარკაძე მას. კერძოდ, პარკაძე მივიდა უგულავას მაგიდასთან და დაუწყო გინება. უგულავამ მოწოდებით სცადა, შეეწყვიტა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რადგან იქ იყო ქალბატონიც. ამ დროს მივიდა გავაშელიშვილი, მოიმწყვდია უგულავა და თავს დაესხა მას - დაუწყო ცემა. კამერების კადრებში ჩანს, როგორ იღებს ინციდენტს ტელეფონით პირი, რომელიც წინასწარ არის მომზადებული ამისთვის, მაშინ, როცა არავინ იცოდა, რა მოხდებოდა იქ. როგორც კი მორჩა ძალადობა, ამ პირმა გათიშა ტელეფონი და შევიდა დაცვის ოთახში. იქიდან გამოვიდნენ პოლიციის

²⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნოდარ რუხახის ადმინისტრაციული დაკავების საქმეზე: 23.02.2021.

თანამშრომლები, რომლებსაც ეს პირი აძლევდა მითითებას. ამ დროს მათ გავაშეღიშვილი ეუბნება, რომ მას უგულავამ სცემა და განიცადა ტკივილი. სასამართლო სხდომაზე უგულავამ განაცხადა, რომ საქართველოში არის ისეთივე ცინიკური მართლმსაჯულება, როგორც არის რუსეთსა და ბელორუსში და ამიტომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს²⁶.

2021 წლის 29 ივნისს გაგრძელდა საქმის განხილვა. სხდომაზე დისტანციურად ჩაერთო დაზარალებული ბადრი გავაშეღიშვილი, რომელიც ბრალდების მხარეს უნდა დაეკითხა. დაცვის მხარემ გააპროტესტა, რომ დაზარალებული ბადრი გავაშეღიშვილი არ იმყოფებოდა სასამართლო სხდომის დარბაზში. დისტანციურად ჩართვის შემდეგ, გაირკვა, რომ იგი კახეთში, დაკრძალვაზე იმყოფებოდა. მოსამართლემ დაუსვა დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემები, მაგალითად. გავაშეღიშვილმა აღნიშნა, რომ „ძაან ცუდად გრძნობდა თავს“, ახსენა პოსტკოვიდური მდგომარეობაც. დაზარალებულის პასუხები არ იყო თანმიმდევრული და დამაჯერებელი.

სასამართლო სხდომაზე გიორგი უგულავა ხშირად საუბრობდა, მათ შორის - აწყვეტინებდა მოსამართლეს და რეპლიკებით მიმართავდა პროკურორებს. ახსენა სასამართლოს დამოუკიდებლობაც და მისი რეპუტაციაც, რომელიც კიდევ უფრო შეილახებოდა, თუკი ამ საქმის კონტექსტს არ გაითვალისწინებდა და დაზარალებულის დისტანციურად დაკითხვის საშუალებას მისცემდა პროკურორებს²⁷.

2021 წლის 3 ივლისს სხდომაზე დაიკითხნენ ნარკოლოგიური სამსახურის მთავარი ექსპერტი, შსს-ს ექსპერტიზის განყოფილების მთავარი ექსპერტი და სამედიცინო ექსპერტი.

ნარკოლოგიური სამსახურის მთავარი ექსპერტის განცხადებით, მან ფიზიკური და ბიოლოგიური ნარკოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარა დავით პარკაძესა და ბადრი გავაშეღიშვილს, რომლის მიხედვითაც ისინი არ იმყოფებოდნენ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ.

შსს-ს ექსპერტიზის განყოფილების მთავარი ექსპერტის განცხადებით, მოწმის საკვლევი მასალა იყო დაზარალებულის, ბადრი გავაშეღიშვილის ტანსაცმელი - გრძელ და მოკლემკლავიანი მაისურები. მოწმემ ექსპერტიზის დასკვნითი ნაწილი წაიკითხა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მაისური ფიზიკური ძალის მიზებით და არა - ცვეთის შედეგად იყო გახეული. მან აღნიშნა, რომ დაზიანების ხანდაზმულობის დადგენა შესაბამისი მეთოდის არარსებობის გამო, შეუძლებელი იყო. ექსპერტიზა ჩაატარა დადგენილების საფუძველზე. საკვლევი მასალა იყო დალუქული და ხელმოწერილი.

სამედიცინო ექსპერტის განცხადებით, 2019 წლის 11 დეკემბერს დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა მოქალაქეების - დავით პარკაძისა და ბადრი გავაშეღიშვილის სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით. ექსპერტიზით დადგინდა, რომ მათ ჰქონდათ სისხლნაყენებები და დაჟეჟილობები. დაზიანებების ხანდაზმულობა არ ეწინააღმდეგება დადგენილების თარიღებს. დაზიანებები არის მსუბუქი ხარისხის, არ წარმოადგენს საფრთხეს ჯანმრთელობისთვის²⁸.

²⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეზე: 03.06.2021.

²⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეზე: 03.06.2021.

²⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეზე: 02.07.2021.

17. **გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. თბილისის განვითარების ფონდის საქმე).** საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თბილისის ყოფილი მერი, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი უგულავა დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას ან გაფლანგვას. უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის ამ განაჩენით, გიორგი უგულავას 3 წლით, 2 თვით და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი საპატიმროდან 2020 წლის 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე გათავისუფლდა. უზენაეს სასამართლოში გიორგი უგულავას საქმე ყოფილი გენერალური პროკურორის, შალვა თაღუმაძის თავმჯდომარეობით განიხილებოდა.

18. **გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგოხიას საქმე.** ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. ბრალდებულებს პროკურატურა სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება). ამასთან, უგულავას სახელმწიფო ბრალდება ამავე საქმეში „სითი პარკის“ ეპიზოდზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე ჯგუფური მოქმედების ორგანიზებასა და იძულებასაც ედავება. საქმეს იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიან ბუგიანაშვილი.

საანგარიშო პერიოდში სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება²⁹.

19. **ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადვიშვილის საქმე - ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმე.** ირაკლი ოქრუაშვილს და ზურაბ ადვიშვილს ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. საქმე ეხება 2004 წლის 24 ნოემბერს თბილისში, დიდუბის პანთეონთან მომხდარ შემთხვევას, რა დროსაც საპატრულო პოლიციის პატრულმა ინსპექტორებმა გააჩერეს BMW მარკის ავტომანქანა, მძღოლითა და ხუთი მგზავრით. მათი შეჩერებისა და პირადი შემოწმებისას პატრულ-ინსპექტორ გრიგოლ ბაშალეიშვილს შემთხვევით გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა ილლიის არეში მძიმედ დაჭრა ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრი - ამირან (ბუტა) რობაქიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდების დადგენილებით, ამ ფაქტზე ინფორმაცია იმავე ღამით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც შემთხვევის ადგილზე მისულ შსს-ს მაღალჩინოსნებს დაავალა, რომ „გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი“ და ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების

²⁹ იხ. „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/33SghZx>

მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე. გარდა ამისა, ბრალდების შესახებ დადგენილებით, საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის დავალებით, გამოძიება წარიმართა სამართლებრივად არასწორი მიმართულებით, რაც გამოიხატა გაყალბებული მტკიცებულებების საპროცესო წესით დამაგრებასა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული ვერსიის გამყარებაში.

საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ 2021 წლის 9 ივნისს, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, განაახლა. საქალაქო სასამართლოში სხდომები გრძელდება ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევით.

სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე 2 სასამართლო სხდომა ჩატარდა.

2021 წლის 9 ივნისის სხდომა ტექნიკურ ხასიათს ატარებდა. ის გაიხსნა და რამდენიმე დეტალის დაზუსტების შემდეგ დაიხურა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მხარეთა თხოვნით, პროცესი ნაწილობრივ ონლაინ ჩატარდა - დარბაზში მხოლოდ მოსამართლე, სხდომის მდივანი და დამსწრე საზოგადოება იყო შეკრებილი. მომდევნო სხდომისთვის კი შეთანხმდნენ, რომ მხარეებიც ადგილზე გამოცხადდებოდნენ³⁰.

2021 წლის 6 ივლისს გაგრძელდა ბრალდების მხარის მოწმის დაკითხვა. დაიკითხა პატრულ-ინსპექტორი, რომელიც 2004 წელს მუშაობდა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის განყოფილებაში. მოწმე ის პირი იყო, რომელმაც მენყვილესთან ერთად პირველად გააჩერა BMW-ს მარკის ავტომობილი თბილისში, წერეთლის გამზირზე. მათთან შევიდა შეტყობინება, რომ მანქანამ დაარტყა მოქალაქეს, ადგილზე მისულებს კი მოქალაქეებმა უთხრეს, რომ ვიდაცები სცემეს და შემდეგ სწორედ ამ მანქანით გაიქცნენ. მათ გააგრძელეს მუშაობა, რადგან ეს მანქანა „გადაცემული იყო დაკავებაზე“.

დაახლოებით, ღამის 01:00 საათზე ეს მანქანა შეამჩნიეს და გააჩერეს მან და მისმა მენყვილემ. გაჩერებისას გადმოვიდა მძღოლი, რომელსაც შემოადინიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაესაუბრა. ამბობდა, რომ ცემის ფაქტი არ მომხდარა. ამასობაში დანარჩენი პირებიც, 4-5 ადამიანიც გადმოვიდა. მათ შორის დაიძაბა სიტუაცია ამ დიალოგისას.

დიალოგი იყო ხმამაღალი. ამის გამო, მან რაციის საშუალებით დაუძახა დახმარებას. მალევე BMW-ს წინა მარჯვენა კარი გაიღო და საეჭვო ხმა გაიგო მოწმემ, ჩხაკუნის მაგვარი. ამბობს, რომ საფრთხე იგრძნო და ამის გამო, მძღოლი პროპორციული ძალის გამოყენებით ძირს დაანგინა. იარაღი მომარჯვებული არ ჰქონია. სწორედ ამ დროს გაიგონა გასროლის ხმა, თუმცა ყურადღება მძღოლზე ჰქონდა და არ დაუნახავს არაფერი. როდესაც მენყვილეს ჰკითხა, რა ხდებოდა, მან უპასუხა - „მგონი ბაშალა იყო“. მოწმე გულისხმდა გრიგოლ ბაშალეიშვილს - პატრულ-ინსპექტორს, რომლის იარაღიდან გასროლასაც შეენირა ბუტა რობაქიძე.

დახმარება მოვიდა 1 წუთში, დაახლოებით, ჯერ - გრიგოლ ბაშალეიშვილი და ლევან ლობჯანიძე, შემდეგ კი სხვები, დაახლოებით - 7-8 მანქანა. მოწმის ჩვენებით, თვითონ და მისი მენყვილე დაბნეულები იყვნენ, რადგან ნახეს წაქცეული ბიჭი, რომელიც სახეზე სისხლიანი იყო. იგი ეცადა დახმარების განევას, მაგრამ პულსი ვერ გაუსინჯა.

³⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშში ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის სისხლის სამართლის საქმეზე: 09.06.2021.

მონმემ განაცხადა, რომ თუ სწორად ახსოვს, სასწრაფოც თავად გამოიძახა. პროკურორის კითხვაზე მონმემ უპასუხა, რომ იარაღი მანქანაში მსხდომებიდან არავის ჰქონია და არ ყოფილა არც მანქანაში, რომელიც შეამონმეს ჩასხდომის დროს.

მისი განცხადებით, იგი 5-10 წუთში ჩაჯდა მანქანაში, სადაც დაახლოებით 20-30 წუთი იჯდა. მალევე მანქანასთან მოვიდა ძვირადღირებულ შარვალ-კოსტუმში ჩაცმული, დაახლოებით 60-65 წლის ასაკის, ჭაღარა მამაკაცი და ასევე - მაიზერ ლიპარტელიანი, ოცეულის მეთაური. შარვალ-კოსტუმში ჩაცმულმა პირმა მას უთხრა - ისე უნდა დავწეროთ, როგორც საჭიროაო. კერძოდ, რომ თითქოს ბაშალეიშვილმა გაისროლა საპასუხოდ - „პოლიციელი ხარ, კარგად დაფიქრდი, არაფერი მოიწიო, ოჯახი გყავს“ და მსგავსი სიტყვები. მაიზერმაც დაუდასტურა, რომ ასე მოქცევა იყო საჭირო და რომ ყველა საქმის კურსში იყო, მათ შორის - ზურა მიქაძეც. მან დაუდასტურა, რომ გასაგები იყო. ამბობს, რომ საფრთხეს რეალურად გრძნობდა. მანქანიდან გადმოსვლის მერე შემთხვევის ადგილზე ისევ მივიდა და ნახა, რომ იარაღები (ნაგანი) და ხელყუმბარა ენყო BMW-ს საბარგულზე.

ადგილზე ასევე მოსულები იყვნენ კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები. მანქანაში მსხდომი სხვა პირები ასფალტზე იწვნენ ბორკილებით. ადგილზე იყვნენ ირაკლი ფირცხალავა, ბაქრაძე, მიქაძე და გურამ დონაძე - პრესცენტრის უფროსი. ისინი მითითებებს გასცემდნენ. მას და მის მენყვილეს დაევალიათ, რომ ნარკოლოგიურში წაეყვანათ ეს ბიჭები. მათ წაიყვანეს ერთი თუ ორი მათგანი. ნარკოლოგიურის შემდეგ ისინი წაიყვანეს განყოფილებაში.

მან დაწერა პატაკი მაიზერ ლიპარტელიანის მითითებით, რომ ბიჭებს იარაღი ჰქონდათ, ესროდნენ პოლიციელებს და ბაშალეიშვილმა გახსნა საპასუხო ცეცხლი. იგივე ჩვენება მისცა შემდეგ პროკურატურაში. მოგვიანებით, 4-5 თვის შემდეგ უკვე ბაშალეიშვილის მითითებით, დაწერა, რომ ბაშალეიშვილს ტყვია გაუვარდა. ბაშალეიშვილი არწმუნებდა, რომ ყველა საქმის კურსში იყო და ახლა ასე დაწერა იყო საჭირო.

სასამართლო სხდომაზე მონმემ რამდენჯერმე გაიმეორა, რომ გადამღები ჯგუფი დახმარებასთან ერთად მოვიდა და ზოგადად, ასე ხდებოდა. პროკურორმა შენიშნა, რომ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ვიდეოში ჭანტურია - მონმის მენყვილე, იარაღს იღებს BMW-დან, ხოლო მონმე თავადაც ამბობს ამ ვიდეოში, რომ იარაღია ადგილზე. ამასთან დაკავშირებით მონმემ განმარტა, რომ ვიდეო არ არის რეალური და იგი დამონტაჟებულია. მოგვიანებით, მონმეს დაცვის მხარემ ჰკითხა, თუ რა იგულისხმებოდა მონტაჟში, მაგრამ მონმემ ეს დამატებულად ვერ ახსნა.

ბევრი დამამხსტებელი კითხვის დასმისას, მონმემ განმარტა, რომ სცენა, როგორც ვიდეოში ჩანს, არ არის დადგმული, მაგრამ იგი არ შეესაბამება რეალობას. მონმემ დაცვის მხარეს უპასუხა, რომ მუქარა სხვა პირისგან, გარდა შარვალ-კოსტუმში ჩაცმულისა, არ მიუღია. თუმცა, დაამატა, რომ ახალ გამოძიებამდე მან ჩვენება არ შეცვალა, რადგან მის გარშემო იგივე სიტუაცია იყო - არც თანამდებობის პირები შეცვლილან და არც ხელისუფლება.

ადვოკატის კითხვაზე მონმემ უპასუხა, რომ შემთხვევის ადგილზე არ უნახავს ირაკლი ოქრუაშვილი, არც ვინმეს სატელეფონო საუბარი მოუსმენია ირაკლი ოქრუაშვილთან. მიუხედავად იმისა, რომ მონმის ჩვენება ზოგადად ინციდენტისთვის, ბუტა რობაქიძის

გარდაცვალების საქმისთვის მნიშვნელოვანია, მის ჩვენებაში არ ფიგურირებდნენ ბრალდებულები, განსაკუთრებით კი ზეწოლის, მონმის დაშინების კონტექსტში³¹.

20. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე. პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა 2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე, სსკ-ის 225-ე მუხლით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით. პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე ოქრუაშვილმა, ისევე, როგორც გიორგი უგულავამ, პენიტენციური დაწესებულება 2020 წლის 15 მაისს დატოვა. შეწყალების მიუხედავად, ოქრუაშვილმა განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც საქმის განხილვა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. საქმეს სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე ვეფხვი ლომიძე განიხილავს.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება³².

21. ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაკავებული მოქალაქეების საქმე. ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2020 წლის 4 ნოემბერს ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დაკავებული 7 პირის ადმინისტრაციულ პროცესს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, 7 დაკავებულიდან მხოლოდ ერთის მიმართ შეწყდა სამართალწარმოება. 3 პირი კოდექსის მხოლოდ 173-ე, 3 კი ორივე - 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად. ერთს სახდელის ზომად 5 დღე-ღამით ადმინისტრაციული პატიმრობა, დანარჩენ 5 პირს კი 3 დღე-ღამის ვადით პატიმრობა განესაზღვრათ.

სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა³³.

სასამართლო სხდომებზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები თავიანთ ჩვენებაში აფიქსირებდნენ, რომ სამოქალაქო ატივისტები იგინებოდნენ, როგორც მათი, ასევე, მთავრობის წარმომადგენლების მისამართით. ასევე, ცდილობდნენ გზის გადაკეტვას, რისი უფლებაც არ ჰქონდათ. ამიტომ ისინი დააკავეს პოლიციელთა კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის. ვიდეოჩანანერის გამოკვლევისას, რომლის ხანგრძლივობა 55 წუთი იყო, სასამართლო მონიტორის მიერ დაფიქსირდა უზმანური სიტყვების (გინება) ორჯერ გამოყენება დაფიქსირდა. ასევე, მოსამართლემ გამოიკვლია სხვა ვიდეომტკიცებულებებიც, სადაც ასახული იყო სავარაუდო შეურაცხყოფის ფაქტებიც. თუმცა, შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმომთქმელი პირის

³¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადგიშვილის სისხლის სამართლის საქმეზე: 06.07.2021.

³² იხ.: „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/31NEpka>

³³ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშები ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაკავებული მოქალაქეების საქმეზე: 11.03. 2021; 19.03.2021; 02.04.2021; 29.06.2021.

იდენტიფიცირება წარმოდგენილ ვიდეოში შეუძლებელი იყო. შესაბამისად, პოლიციის მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერით არ დადასტურებულა, რომ სამოქალაქო აქტივისტები იგინებოდნენ მათი მიმართულებით. დამატებით, ვიდეოჩანაწერში არ ფიქსირდებოდა რამდენიმე აქტივისტის დაკავების კადრი, რასაც შსს-ს წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ. ხილვადი იყო რამდენიმე პირის დაკავება და საპატრულო მანქანაში მოთავსება. მანქანაში მოთავსების დროს სამოქალაქო აქტივისტებისადმი მოპყრობა და მათ მიერ გამოყენებული ძალა, არ იყო პროპორციული - პოლიციელთა რაოდენობა აღემატებოდა დასაკავებელ პირთა რაოდენობას.

22. ლაშა ჩხარტიშვილის საქმე - 2020 წლის 20 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა ჩხარტიშვილი - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე და მას ჯარიმის სახით დააკისრა 3500 ლარის გადახდა. მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ გადაწყვეტილება სამ სასამართლო სხდომაში მიიღო. თავის მხრივ, ჩხარტიშვილმა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ საჩივრის მიღებაზე მას უარი ეთქვა.

23. გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმე. გიორგი ჯავახიშვილი და თორნიკე დათაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო სსკ-ის 225-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. მოცემული საქმე განიხილებოდა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ ირაკლი ოქრუაშვილის საქმესთან ერთად, მაგრამ ჯავახიშვილისა და დათაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და ისინი მალევე გაათავისუფლდნენ მას შემდეგ, რაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ.

24. კობა კოშაძის საქმე - პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრს, კობა კოშაძეს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენას, შენახვას ან ტარებას. მას შემდეგ, რაც პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა, კობა კოშაძის მიმართ სასამართლომ გააუქმა აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა და ბრალდებულს შეეფარდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით. კობა კოშაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. საქმის არსებითი განხილვის სხდომა 1 წელზე მეტია, არ ჩანიშნულა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა კობა კოშაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება³⁴.

25. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ აღეიშვილის, დავით კუჭერაშვილისა და გიგი უგულავას სს საქმე სასამართლოს პირველ ინსტანციაში განიხილება, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბრალდების მხარის წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა. საქმე ეხება 2007 წ. 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრას და მის „ხელში ჩაგდებას“. მიხეილ სააკაშვილის გარდა, ბრალი წარდგენილი აქვთ იმ

³⁴ იხ.: „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/31NEpka>

პერიოდის მაღალჩინოსნებს: ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადვიშვილს, დავით კეზერაშვილსა და გიგი უგულავას. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, მოსამართლე ნინო ელვიშვილის თავმჯდომარეობით.

26. გიორგი რურუას საქმე - „მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მენილეს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალი ედება სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება); მას ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას. 2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა გიორგი რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ გიორგი რურუა დამნაშავედ ცნო ორივე წარდგენილ ბრალდებაში. საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე, 2021 წლის 27 აპრილს, მსჯავრდებულმა დატოვა პენიტენციური დაწესებულება³⁵. პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებას (ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტს) ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს, რომლის თანახმად, გიორგი რურუას მიმართ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმი. ამ შეთანხმებამდე, 2021 წლის 31 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ გიორგი რურუას არ შეიწყალებდა, რის მოტივაციაც მიუთითა, რომ „საზოგადოებამ მასზე კარგად იცოდა, თუ რატო არ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას“³⁶.

საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი³⁷.

27. ნიკა გვარამიას საქმე - „მთავარი არხის“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ბრალი ედება სსკ-ის 220-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით.

³⁵ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2VHvnGE>

³⁶ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3ImCaxY>

³⁷ იხ. „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/2CkSOfd>

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი -ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება³⁸.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

თბილისის საქალაქო სასამართლოში გრძელდება „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვა. 2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორი დააკვირდა 18 სასამართლო სხდომას.

2021 წლის 2 თებერვლის სხდომაზე გაირკვა, რომ ამ სისხლის სამართლის საქმის ორი პროკურორიდან ერთი შეიცვალა, მეორე კი დაწინაურდა. მოსამართლე დაინტერესდა - საქმის პროკურორს, რომელიც დაწინაურდა და კვლავ ბრალმდებლად იყო წარმოდგენილი პროცესზე, ჰქონდა თუ არა ამის უფლება. საპასუხოდ პროკურორმა წარმოადგინა ე.წ. „წერილობითი დავალება“, რომელიც გაცემული იყო მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის მიერ და ადასტურებდა ამ პროკურორის ამავე საქმეში კვლავ მონაწილეობის უფლებას.

სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ იშუამდგომლა ახალი მტკიცებულების საქმეზე დართვასთან დაკავშირებით. შუამდგომლობა ეხებოდა ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალიტიკოსის მოწმედ დაკითხვას და ამავე ორგანიზაციის ანალიტიკური დოკუმენტის³⁹ საქმეზე მტკიცებულებად დართვას, რაზეც ბრალდების მხარემ აღნიშნა, რომ შუამდგომლობა იყო მოცულობითი, მას სჭირდებოდა დრო პოზიციის წარსადგენად და შემდეგ სხდომაზე დააფიქსირებდა პოზიციას შუამდგომლობასთან დაკავშირებით. მოსამართლემ გაითვალისწინა ბრალდების არგუმენტი და შუამდგომლობაზე მსჯელობა მომდევნო სხდომაზე გადადო.

2021 წლის 11 თებერვალს სხდომაზე ბრალდების მხარემ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალიტიკური დოკუმენტი ვერ აკმაყოფილებდა მტკიცებულების სტანდარტს, წერილობითი მოსაზრება და მისი ავტორის ჩვენება ვერ იქნებოდა მტკიცებულება და დაცვის მხარის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ორივე ნაწილში: 1. ანალიტიკური დოკუმენტი საქმეს დაერთო მტკიცებულებად და 2. დოკუმენტის ავტორი სასამართლო პროცესზე დაიკითხება მოწმედ. მოსამართლემ განმარტა, რომ კლასიკური გაგებით, წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის მტკიცებულება, ანუ არც ადასტურებს და არც უარყოფს დანაშაულს. ანალიტიკურ დოკუმენტს აქვს ინფორმაციული დატვირთვა და სასამართლოს ეხმარება სხვა მტკიცებულებებთან ერთად შეფასებების გაკეთებაში, დოკუმენტში არსებული მნიშვნელოვანი ელემენტებით.

მომდევნო სხდომაზე გადაწყდა, რომ ნიკა გვარამიას საქმეზე პროცესი კვირაში ერთხელ ჩატარდებოდა, რასაც ბრალდებულის მხრიდან კითხვები მოჰყვა, ვინაიდან, მისი განცხადებით, სასამართლო სხდომების ინტენსიურად ჩანიშნა პროფესიულ საქმიანობაში ხელს უშლიდა. ამასთან, დაამატა, რომ თითქმის 1 წლის განმავლობაში იყო გადადებული სასამართლო პროცესი და ამჟამად სასამართლოს სხდომების ინტენსიურად ჩანიშნა, სავარაუდოდ, პოლიტიკურ კონტექსტს უკავშირდებოდა. მოსამართლის განმარტებით, სასამართლო სხდომები Covid-19-ის პანდემიით შექმნილი

³⁸ იხ. „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“: ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/33NqhAb>

³⁹ იხ. „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“: ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/33NqhAb>

რთული ვითარებიდან გამომდინარე გადაიღო. პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირებით, მოსამართლემ განაცხადა, რომ მხარეები თავად ცდილობენ პოლიტიკური ელემენტების შეტანას საქმის სასამართლო განხილვის პროცესში. ამასთან, განმარტა, რომ საქმის განხილვის ვადა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მკაცრად არის განსაზღვრული - ეს არის 2 წელი, აქედან 1 წელი უკვე გასულია, კვირაში ერთხელ სხდომის ჩანიშვნას კი პროფესიულ საქმიანობაზე ზეგავლენა არ ექნებოდა⁴⁰.

2021 წლის 17 თებერვალს საქმის განხილვა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით - მოწმეთა ჩვენებებით უნდა გაგრძელებულიყო. სხდომა გადაიღო, რადგან ჩაინიშნა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, ნიკანორ მელიას სს საქმეზე აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული სხდომა. როგორც მოსამართლემ განმარტა, ეს სხდომა იმავე დარბაზში იმართებოდა, სადაც ნიკა გვარამიას საქმის განსახილველი სასამართლო სხდომები ტარდება და საჭირო იყო დარბაზის დათმობა⁴¹.

2021 წლის 24 თებერვალს, სხდომის განხილვა გაგრძელდა დაცვის მხარის შუამდგომლობის განხილვით. დაცვის მხარემ შუამდგომლობაში აღნიშნა, რომ 2021 წლის 22 თებერვალს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საჯაროდ განაცხადა შემდეგი - „ნიკა გვარამია არის დამნაშავე და მთავარი კრიმინალი“. ხოლო 23 თებერვალს, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ასევე საჯაროდ განაცხადა, რომ „გვარამია არის კრიმინალი და პოლარიზაციის მთავარი შემოქმედი“. განცხადებებთან დაკავშირებით, დაცვის მხარემ ჟურნალისტის დახმარებით შეადგინა ოქმი, ამოიღო ეს ჩანაწერები და გადაიტანა დისკზე. დაცვის მხარემ იშუამდგომლა, რომ ეს განცხადებები, დატანილი დისკზე, დართვოდა საქმეს მტკიცებულებად და ჟურნალისტი, რომელმაც ეს განცხადებები არქივიდან ამოიღო და დისკზე გადაიტანა, დაკითხულიყო დაცვის მხარის მოწმედ. ადვოკატების შეფასებით, ჩანაწერი ადასტურებდა იმ ფაქტს, რასაც აქამდე ამბობდნენ - გვარამია არის პოლიტიკური დევნილი და მის მიმართ არსებული ეს სისხლის სამართლის საქმე არის პოლიტიკურად მოტივირებული. ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ ეს არ იყო მტკიცებულება და ასევე, დარღვეული იყო მტკიცებულების მოპოვების წესიც.

მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ ნებისმიერი განცხადება, საჯარო სივრცეში გავრცელებული, შეიძლება წარმოდგენილი იყოს მტკიცებულების სახით, მაგრამ ცალკე აღებული ასეთი განცხადება მტკიცებულება არ არის. მისი თქმით, წარმოდგენილი შუამდგომლობა ვერ აკმაყოფილებდა მტკიცებულების სტანდარტს.

სასამართლო სხდომა გაგრძელდა ბრალდების მხარის მოწმის დაკითხვით. იგი ერთ-ერთი სარეკლამო სააგენტოს წარმომადგენელია, რომელმაც განმარტა, რომ ემსახურებოდნენ დიდ კლიენტებს - კომპანიებს, მაგალითად - „თეგეტა მოტორსს“ და რეკლამას ათავსებდნენ სატელევიზიო სივრცეში. მანვე განაცხადა, რომ 2018 წელს გამოაცხადა „თეგეტა მოტორსმა“ ტენდერი, რომელიც მოიგო მისმა სააგენტომ, ხოლო 2019 წელს გამოცხადებული ტენდერი ვერ მოიგო, რაც, მისი თქმით, სრულიად ბუნებრივია - შესაძლოა, დამკვეთს სხვა კომპანიამ უკეთესი პირობები შესთავაზა. ასევე, ისაუბრა, რომ ბარტერი სარეკლამო ბაზარზე შეთანხმების მიღებული ფორმაა.

⁴⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 02.02.2021.

⁴¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 17.02.2021.

საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა სახის ინფორმაცია მოწმეს სასამართლოსთვის არ მიუწოდებია⁴².

2021 წლის 10 მარტის სხდომას არ ესწრებოდა ბრალდებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. იგი თანახმა იყო მისი მონაწილეობის გარეშე სხდომის გაგრძელებაზე. სხდომა უნდა გაგრძელებულიყო ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით, კერძოდ - უნდა დაკითხულიყო ორი მოწმე. სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ერთ-ერთ მოწმეს ვერ დაუკავშირდნენ, ხოლო მეორე მოწმემ გაიკეთა ოპერაცია და არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოცხადებულიყო სასამართლოში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამოიკვლევდნენ მხოლოდ ბუღალტრულ დოკუმენტაციას, მომსახურების ხელშეკრულებებს, ამონაწერებს სამეწარმეო და საჯარო რეესტრიდან, რადგან ამ მტკიცებულებებთან დაკავშირებით სიღრმისეული კვლევა არ იყო საჭირო და უფრო გამარტივდებოდა მტკიცებულებების გამოკვლევა. მათ გამოიკვლიეს 5 სხვადასხვა ტომიდან მხოლოდ ზემოხსენებული მტკიცებულებები, სათაურის წაკითხვით. დაცვის მხარეს, ამ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, არ ჰქონია შეკითხვები⁴³.

ბრალდებული 2021 წლის 17 მარტის სხდომასაც არ ესწრებოდა, ისევ - ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. თუმცა, იგი თანახმა იყო მისი მონაწილეობის გარეშე სხდომის გაგრძელებაზე. ამ სხდომაზე მოსამართლემ განმარტა, რომ კანცელარიის გზით წარდგენილი იყო სასამართლოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განცხადება - სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. მოსამართლემ აღნიშნა, რომ დარღვეული იყო კანონის იმპერატიული მოთხოვნა სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენის შესახებ. მისი თქმით, ეს მოსაზრება არ აკმაყოფილებს არც სტრუქტურულ სტანდარტს, რადგან სასამართლოს მეგობრის მოსაზრება აღემატება 30 გვერდს.

სს საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე, განსაზღვრულია ის მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება. სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენა შესაძლებელია საქმის არსებით განხილვამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე, მისი მოცულობა კი არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. ამ შემთხვევაში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტება, რომ დარღვეული იყო მისი წარდგენის ვადა, ასევე - მოცულობა, მართებულია.

2021 წლის 4 აპრილს, საქმის განხილვა გაგრძელდა ისევ ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით. დაიკითხა ბრალდების მხარის 1 მოწმე - ნიკა გვარამიას ახლო მეგობარი, „მთავარი არხის“ პოლიტიკური გადაცემების პროდიუსერი. ასევე, 2015 წლიდან გაყიდვების სახლის „ინტერ მედია პლიუსის“ 30% წილის მესაკუთრე. მოწმე დაიკითხა საკითხზე, თუ როგორ და როდის მოხდა „ინტერ მედია პლიუსში“ დივიდენდების გაყოფა. პროკურორმა, ასევე, წარუდგინა მოწმეს სამმხრივი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელზეც მან განმარტა, რომ ეს ხელშეკრულება მისთვის უცნობია და არ მიუღია ამ ხელშეკრულების შედგენაში და შეთანხმებაში მონაწილეობა.

2021 წლის 14 აპრილს დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმე - ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი. მოწმე გამოიკითხა „ინტერ მედიიდან“ და „ინტერ მედია პლიუსიდან“ ამოღებული კომპიუტერული ტექნიკისა და მობილური ტელეფონების

⁴² ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 24.02.2021.

⁴³ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 10.03.2021.

ექსპერტიზასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, დასმული შეკითხვების შესაბამისად, პროცედურულ საკითხებზე ისაუბრა. ექსპერტიზის კონკრეტულ შედეგებზე სასამართლოსთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია⁴⁴.

2021 წლის 22 აპრილს დაიკითხა ბრალდების მხარის 3 მოწმე - გენერალური პროკურატურის გამომძიებლები. ერთ-ერთმა მოწმემ განმარტა, რომ საგამომძიებო ჯგუფთან ერთად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, მიიღო მონაწილეობა საგამომძიებო მოქმედების ჩატარებაში. კერძოდ, „ინტერ მედია პლიუსიდან“ ამოიღო საფინანსო დოკუმენტები, ხელშეკრულებები, ზედნადებები, სადამფუძნებლო დოკუმენტები. გარდა ამოღებისა, ასევე, მისი მონაწილეობით ჩატარდა „ინტერ მედია პლიუსიდან“ ამოღებული დოკუმენტების დათვალიერება. ჩვენების მიცემის საწყის ეტაპზე გაურკვეველი იყო, ამოღება და დათვალიერება ეხებოდა თუ არა ერთსა და იმავე დოკუმენტებს. მას შემდეგ, რაც დაცვის მხარემ დასვა შეკითხვა, მოწმემ განმარტა, რომ ამოღებული დოკუმენტის დათვალიერების საგამომძიებო ღონისძიება ჩაატარა. აღნიშნა, რომ ამოსაღები დოკუმენტები იყო მოცულობითი, ამოღება განხორციელდა ბაინდერებით და დაილუქა ბაინდერის დასახელებამე მითითებით, ხოლო შემდეგ მოხდა დათვალიერება და გაკეთდა ჩამონათვალი ბაინდერში მოთავსებული თითოეული დოკუმენტის, რომელიც ასევე დაილუქა. საგამომძიებო მოქმედებებს ესწრებოდა „ინტერ მედია პლუსის“ წარმომადგენელიც.

2021 წლის 27 მაისს, სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მთავარი მოწმე - ამჟამად „ფორმულას“ დირექტორი, „ინტერ მედია“ და „ინტერმედია პლუსის“ დამფუძნებელი და დირექტორი. ბრალდების მხარემ მთავარ მოწმეს დაუსვა კითხვა - „რუსთავი 2“-ის თანამშრომელი ხომ არ იყო გაყიდვების სახლის მენილვე. ამასთან დაკავშირებით, მოწმემ აღნიშნა, რომ ბრალდებულმა ნიკა გვარამიამ ურჩია ერთი პირის ჩასმა, რომელიც, ასევე, იყო გაყიდვების სახლის მენილვე. აგრეთვე, მოწმის განმარტებით, მან გვარამიასგან იცოდა, რომ მის მიმართ მოქმედმა ხელისუფლებამ დაიწყო ზეწოლა და „რუსთავი 2“-ის ფინანსური სტაბილურობისთვის სჭირდებოდა ფინანსური გარანტიები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო გაყიდვების სახლის - „ინტერ მედია პლუსის“ მენილვე ყოფილიყო მისი ნდობით აღჭურვილი პირი და თავად არ გამოჩენილიყო, რადგან, შესაძლოა, ზეწოლა ყოფილიყო პოტენციურ კლიენტებზე. ასევე, თუ სარეკლამო დროის გაყიდვას გაყიდვების სახლის გარეშე „რუსთავი 2“ თავად უზრუნველყოფდა, როგორც ეს ხდებოდა, ესეც იყო რისკი კლიენტებზე ზეწოლის⁴⁵.

2021 წლის 23 ივნისს, სასამართლო სხდომაზე „ფორმულას“ დირექტორი შესამედ დაიკითხა, ამჯერად - დაცვის მხარის მიერ. კითხვები შეეხებოდა, ლარიზაციის შემდეგ, შესაძლებელი იყო თუ არა კლიენტთან შეთანხმება მომხდარიყო უცხოურ ვალუტაში, რაზეც მოწმე დაეთანხმა. ასევე, კითხვა დაისვა, არსებობს თუ არა ნორმატიული აქტი, რომელიც ავალდებულებს გაყიდვების სახლსა და სარეკლამო სააგენტოებს, სხვადასხვა დამკვეთებს შესთავაზონ ერთი და იგივე პირობები, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ - არა; მიიღეს თუ არა GDG -სგან დავალიანება ფულადი სახით, რაზეც პასუხი იყო - „არა“, რის სანაცვლოდაც „კერა+“-ის უძრავი ქონებით მოხდა დავალიანების ჩანაცვლება. მოწმის განმარტებით, GDG -სთვის ეს იყო ხელსაყრელი, დავალიანებას და დაუსრულებელ სასამართლო პროცესებს სჯობდა, დავალიანების გაქვითვა მომხდარიყო ქონებით. მოწმემ, ასევე, განმარტა პროგრამა „ტელეპორტთან“ დაკავშირებული დეტალები, რომლის მიხედვითაც „ტელეპორტზე“ მწვდომი ერთ-ერთი მხარე არის ტელევიზიაც, მაგრამ მას არა აქვს წვდომა ამავე პროგრამაში მონიშნულ

⁴⁴ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 14.04.2021.

⁴⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 27.05.2021.

ღირებულებასთან. ეს პროგრამა აძლევს ოპერირების საშუალებას გაყიდვების სახლსა და დამკვეთს, ანუ სარეკლამო სააგენტოებს.

მოწმემ, ასევე, ისაუბრა „რუსთავი 2“-თან დადებული ხელშეკრულების კონკრეტული პირობის შესახებ, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გაყიდვების სახლს, ტელევიზიის სასარგებლოდ, უნდა გადაეხადა სახელშეკრულებო თანხის სამმაგი ოდენობა, ჯარიმის სახით. მოწმის განმარტებით, ეს თანხა გაცილებით მეტია იმ თანხაზე, რასაც ისინი მიიღებდნენ შემოსავლად ამ პერიოდში⁴⁶.

2021 წლის 30 ივნისს, საქმის განხილვა გაგრძელდა ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევით. დაიკითხა მოწმე - მოქმედი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი, რომელიც არის ნინო ნიჟარაძის ადვოკატი. ნინო ნიჟარაძემ „რუსთავი 2“-ის 9 %-იანი წილი, მისი მეუღლის, გეგა გეგეშიძის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. მოწმის განმარტებით, მის მარწმუნებელს (ნინო ნიჟარაძეს) „რუსთავი 2“-დან არ მიუღია არც დივიდენდი, არც რაიმე სახის შემოსავალი, არანაირი ყურადღება არ ყოფილა მის მიმართ გამოჩენილი. მისი თქმით, ნინო ნიჟარაძე ითხოვდა თავისი წილის გასხვისებას და ამაზე მას ნებათვა არ მიეცა. პარტნიორების უფლება, ბოროტად, იმგვარად იქნა გამოყენებული, რომ მან პრაქტიკულად იზარალა. მოწმემ განაცხადა, რომ ეს იყო პირველი მიზეზი, რის გამოც ნინო ნიჟარაძემ ნიკა გვარამიას წინააღმდეგ პროკურატურას მიმართა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით.

მოწმის მიერ ჩვენების მიცემის დასრულების შემდეგ, მას დაცვის მხარემ დაუსვა კითხვები ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კითხვების უმრავლესობაზე მოწმეს პასუხები ან არ ჰქონდა, ან/და ინფორმაციას არ ფლობდა. მოწმეს არ ჰქონდა პასუხები საკორპორაციო-სამართლებრივ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით და არც კომპანიის მართვის წესებზე შეთანხმებების შესახებ, რასაც, შესაძლოა, ზეგავლენა ჰქონოდა მისი მარწმუნებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე - ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით მიემართა პროკურატურისათვის. დაცვის მხარის შეკითხვაზე - რა გახდა მიზეზი, მიემართათ მთავარი პროკურატურისათვის, მოწმემ განაცხადა, რომ თვლიდა, ამ საქმეში დანაშაულის ნიშნები იყო, რადგან მას მიაღმა ბიანი და დირექტორი ვალდებული იყო, ყველა გადაწყვეტილება მიიღო შპს-ს სასარგებლოდ და არა - საზიანოდ. მისი განცხადებით, დირექცია კომპანიის ინტერესების საზიანოდ მოქმედებდა⁴⁷.

2021 წლის 7 ივლისს, სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოწმე (ამჟამად ტვ „იმედის“ თანამშრომელი), რომელიც 2009 წლიდან 2017 წლამდე მუშაობდა „რუსთავი 2“-ის გაყიდვების მენეჯერად, ასევე იყო „ინტერმედიას“ დამფუძნებელი და 15% წილის მფლობელი. ეს კომპანია აქტიურად ოპერირებდა 2012 –2014 წლებში. მოწმეს კითხვა დაუსვეს სარეკლამო ბაზრის ტენდენციებზე. მან მხარეთა შეკითხვაზე აღნიშნა, რომ ყველა კლიენტთან შეთავაზება არის ინდივიდუალური და დამოკიდებულია, ვინ რამდენს გადაიხდის, ასევე - გრძელვადიან თანამშრომლობის პერსპექტივაზე. დაცვის მხარის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა ინფორმაცია, რომ „რუსთავი 2“-ის მიმართ დევნა მიმდინარეობდა და სასამართლოში შეტანილი საქმე რისკებს უქმნიდა ფინანსების შემოდინებას და აფრთხობდა კლიენტებს (იგულისხმება რეკლამის განთავსების ნაწილში), მოწმემ აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია ჰქონდა, მაგრამ ის, მისი მეგობრული და პროფესიონალური დამოკიდებულებით, ინარჩუნებდა კლიენტებს.

⁴⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 23.06.2021.

⁴⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 30.06.2021.

მონმემ, დაცვის მხარის შეკითხვაზე - რისკების ფონზე, სჯობდა თუ არა სტაბილური ყოველთვიური გადასახდელის გადახდა „ინტერ მედია პლუსის“ მიერ „რუსთავი 2“-სთვის, შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, მონმემ აღნიშნა, რომ მისი გადმოსახედიდან - არა⁴⁸.

2021 წლის 28 ივლისს, სასამართლო სხდომა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით გაგრძელდა. დაიკითხა ბრალდების მხარის მონმე - „თეგეტას“ შვილობილი კომპანიის დირექტორი. მონმის თქმით, 2019 წლის თებერვლის თვეში, მისთვის კომპანიაში გახდა ცნობილი, რომ ავტომობილის სანაცვლოდ, უნდა მომხდარიყო „რუსთავი 2“-ის ეთერში რეკლამის განთავსება, ე.წ. ბარტერი. ამ საკითხზე სასაუბროდ შეხვდნენ ზურაბ გუმბარიძეს (ამჟამად -ტვ „ფორმულას“ დირექტორი). მასთან საუბრის შემდგომ, შესაბამისმა პირებმა კომპანიის შიგნით გაიარეს ბარტერის საკითხი. მარტის დასაწყისში „თეგეტამ“ გამოაცხადა ტენდერი რეკლამის განთავსებაზე, რომელშიც მონაწილეობდა 4 კომპანია. ტენდერში გაიმარჯვა „პროექსკო ჯორჯიამ“, რადგან ყველაზე კარგი პირობები შესთავაზეს მათ, კერძოდ - ყველაზე დაბალი ფასი. მონმემ განმარტა, რომ ხელშეკრულების გაფორმების დეტალები არ იცის, რადგან 2019 წლის 23 მარტს დატოვა სამსახური. დაცვის მხარემ სხდომის დასასრულს მიმართა ბრალდების მხარეს, რომ „ასე კარგად დაბეპირებული მონმე“ ჯერ არ ჰყოლიათ⁴⁹.

28. ალექსი მაჭავარიანის, ნოდარ რუხაძის და გიორგი მჟავანაძის ადმინისტრაციული საქმე - ალექსი მაჭავარიანი პოლიციამ დააკავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას.

ნოდარ რუხაძე და გიორგი მჟავანაძე პოლიციამ დააკავა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (წვრილმანი ხულიგნობა – საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს) და ასევე - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას.

ორივე საქმე გაერთიანდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს, სადაც სამივე დაკავებული სასამართლომ ცნო სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში. ალექსი მაჭავარიანის მიმართ გამოყენებულ იქნა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ნოდარ რუხაძის მიმართ - ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით, გიორგი მჟავანაძის მიმართ კი - 3 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა. გადანყვეტილება გასაჩივრებელია სააპელაციო წესით.

⁴⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 07.07.2021.

⁴⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე: 28.07.2021.

29-30-31. ლევან იმერლიშვილის, გიორგი ესიაშვილის და მინდია ამბარდნიშვილის საქმე (ყოფილი სპეცრაზმელების საქმე) - ბრალდებულებს ბრალი წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს - „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით“. თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფილი სპეცრაზმელების საქმე ამ ეტაპზე არსებითად განიხილება.

ყოფილი სპეცრაზმელები - ლევან იმერლიშვილი, გიორგი ესიაშვილი და მინდია ამბარდნიშვილი 2019 წლის ზაფხულში დააკავეს. გარკვეული პერიოდი ბრალდებულები წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ. ამ დროისთვის კი მათ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ გირაო 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. ლევან იმერლიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძვლად დასახელდა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც სასამართლომ გაიზიარა და ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიმდინარეობისას ლევან იმერლიშვილის და მინდია ამბარდნიშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეებზე სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა. იმერლიშვილის საქმეზე სხდომა რამდენჯერმე ჩაინიშნა, მაგრამ ყოველ ჯერზე გადაიდო. რაც შეეხება გიორგი ესიაშვილს, მონიტორინგის მიმდინარეობისას 4 სასამართლო სხდომა ჩატარდა. 2021 წლის 18 მარტს განსახილველ სისხლის სამართლის საქმეს, დაცვის მხარის შუამდგომლობით დაერთო განცხადება, რომელიც ეხება დაზარალებულთა (ამ საქმეში ორი დაზარალებულია) და ბრალდებულის შერიგებას, ბრალდებულის მხრიდან ზიანის სრულად ანაზღაურების ფაქტს. განცხადების თანახმად, დაზარალებულები აცხადებენ, რომ მათ არ გააჩნიათ პრეტენზია ამ საქმესთან დაკავშირებით და მიესალმებიან ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

2021 წლის 22 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი ესიაშვილის მიმართ გამოყენებული დამატებითი ღონისძიებების გაუქმების თაობაზე. დამატებითი ღონისძიების სახედ გამოყენებული იყო საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და მისი თანხმობის გარეშე საცხოვრებელი სახლის დატოვების უფლებისა და საგამოძიებო ორგანოში კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულება.

გიორგი ესიაშვილი სრულად იზიარებს მის მიმართა წარდგენილ ბრალდებას. მედიის ინფორმაციით, ბრალს ასევე აღიარებს ლევან იმერლიშვილიც, ხოლო მინდია ამბარდნიშვილის ადვოკატი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს უფლებამოსილება არ გადაუმეტებია და არც ამნისტია სჭირდება, რადგან ამ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი დადგება.

გიორგი ესიაშვილის საქმეზე გამართული სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა.

2021 წლის 18 მარტს განსახილველ სისხლის სამართლის საქმეს, დაცვის მხარის შუამდგომლობით დაერთო განცხადება, რომელიც ეხება დაზარალებულთა (ამ საქმეში ორი დაზარალებულია) და ბრალდებულის შერიგებას, ბრალდებულის მხრიდან ზიანის

სრულად ანაზღაურების ფაქტს. განცხადების თანახმად, დაზარალებულები აცხადებენ, რომ მათ არ გააჩნიათ პრეტენზია ამ საქმესთან დაკავშირებით და მისაღებობიან ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. გიორგი ესიაშვილი სრულად იზიარებს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას.

2021 წლის 22 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი ესიაშვილის მიმართ გამოყენებული დამატებითი ღონისძიებების გაუქმების თაობაზე. დამატებითი ღონისძიების სახედ გამოყენებული იყო საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და მისი თანხმობის გარეშე საცხოვრებელი სახლის დატოვების უფლებისა და საგამოძიებო ორგანოში კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულება.

საქმეზე დაკითხული არიან ბრალდების მხარის მოწმეები, მათ შორის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტები. საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ არ გამოცხადებულა⁵⁰.

32. ზაზა ჭაავას, ზაზა მჭედლიძის და მურად ბეგლარიშვილის საქმე - სამივე ბრალდებულს სახელმწიფო ბრალდება ედავება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენას, დევნას, ჟურნალისტური საქმიანობისადმი ხელის შეშლას. ბრალდებულები პოლიციამ დააკავა 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებული „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ გამართულ კონტრაქციაზე. ბრალდების მხარემ განმარტა, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს დანაშაული ჯგუფურად. მათ იცოდნენ, რომ ჟურნალისტებს დევნიდნენ, მათი ქმედება იყო განზრახი - ბრალდებულებმა განზრახ დააზიანეს ჟურნალისტები და მათი ტექნიკა. ჟურნალისტებს უსწორდებოდნენ იმიტომ, რომ ისინი აშუქებდნენ აქციას და ბრალდებულებს მიაჩნდათ, რომ ამით ჟურნალისტები ეწეოდნენ LGBT თემის პროპაგანდას. სასამართლომ 8 ივლისს გამართულ სხდომაზე, სადაც განიხილებოდა ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების საკითხი, დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის გირაოს სახით შეცვლაზე არ დააკმაყოფილა და სამივე ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. წინასასამართლო სხდომა ჩანიშნულია 2021 წლის 2 სექტემბერს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ყოფილი 3 სპეცრაზმელის, ასევე - ზაზა ჭაავას, ზაზა მჭედლიძის და მურად ბეგლარიშვილის საქმის სასამართლო განხილვას აკვირდება, რათა გამოკვეთოს პროკურატურის, ასევე - სასამართლო ხელისუფლების მიდგომა. შეადაროს საგარეუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მიმართ და მოცემულ საქმეებზე რამდენად მიუკერძოებლად იქნება დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება; ასევე - სამართლებრივად გააანალიზოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ საქმეებზე.

გაჭიანურებული სამართალწარმოება

სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც გარანტირებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე - საერთაშორისო სტანდარტებით, საერთაშორისო პაქტით

⁵⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშები გიორგი ესიაშვილი სისხლის სამართლის საქმეზე: 02.02.2021; 18.03.2021; 22.04.2021; 17.06.2021.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით⁵¹.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს საქმის გონივრულ ვადებში განხილვის უფლებას, რაც თავის მხრივ, აისახება სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და გონივრულად სწრაფ მართლმსაჯულებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, მაგრამ ამ უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად⁵². იგი აგრეთვე ავალდებულებს სასამართლოს, პრიორიტეტულად მიიჩნიოს საქმეები, სადაც ბრალდებულები პატიმრობაში იმყოფებიან⁵³.

სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განუხილველობა, თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას იწვევს. როგორც საქმეში *Zimmermann and Steiner v. Switzerland* ევროსასამართლომ დაადგინა, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ მისცეს სასამართლოებს შესაძლებლობა, იმოქმედონ 6.1 მუხლის მოთხოვნების დაცვით, მათ შორის „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის მოთხოვნის დაცვით⁵⁴.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გონივრულ დროში გასამართლების უფლება ათავისუფლებს სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ პირებს ხანგრძლივი გაურკვევლობისგან. ამასთან, ეს უფლება ბრალდებულის თავისუფლების შემზღვეველი იმ ღონისძიებების მინიმიზაციას უწყობს ხელს, რომლებიც გამოიყენება სასამართლო განხილვის მიზნებისთვის. რაც შეეხება იმას, თუ რა არის გონივრული ვადა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა - საქმის სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების ქცევები⁵⁵. თუმცა, არ არსებობს დადგენილი წესი, თუ რა ითვლება გონივრულ ვადად. სასამართლო გონივრული ვადის გადაჭარბებად მიიჩნევენ იმ შემთხვევებს, როდესაც საქმის წარმოების ხანგრძლივობამ ერთ ინსტანციაში გადააჭარბა სამ წელიწადს, ორ ინსტანციაში - ხუთ წელიწადს და სამივე ინსტანციაში-ექვს წელიწადს⁵⁶.

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საკითხი - საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის

⁵¹ იხ.: ICCPR, მუხლი 9(3) და ECHR, მუხლი 5(3) უზრუნველყოფენ ყოველ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულის „გონივრულ ვადაში გასამართლების ან გათავისუფლების“ უფლებას. ICCPR, მუხლი 14(3)(გ) უზრუნველყოფს „ზედმეტი დაყოვნების გარეშე“ გასამართლების უფლებას ყველა იმ პირისთვის, ვინც სისხლის დანაშაულშია ბრალდებული და ასევე ECHR, მუხლი 6(1) უზრუნველყოფს ყოველი პირის „სამართლიანი საჯარო სასამართლო პროცესის უფლებას გონივრულ ვადაში“.

⁵² იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8(2) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>

⁵³ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8(3) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

⁵⁴ იხ.: საქმე *Zimmermann and Steiner v. Switzerland*. ECHR. 13 ივლისი, 1983 წელი. <https://bit.ly/3uL0hcU>

⁵⁵ იხ.: პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 8 დეკემბერი, 1983, პარ. 31-37, პედერსენი და ბაღსგარდი დანიის წინააღმდეგ, ECtHR, 17 დეკემბერი 2004, პარ. 45 და იხ. აგრეთვე ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 35.

⁵⁶ იხ.: სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა, 2014; ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/13yLbz>

კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით⁵⁷ და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად⁵⁸.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა პრობლემები გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების კუთხით. ზოგიერთი საქმე გრძელდება ან/და გადაიღო არაგონივრულად ხანგრძლივი დროით⁵⁹. ამავდროულად, განსაკუთრებით უარყოფით ტენდენციას წარმოადგენს ასეთ საქმეებზე სასამართლო სხდომების ინტენსიურად ჩანიშვნა წინასაარჩევნო პერიოდში.

ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრაციული პატიმრობის პრაქტიკა

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში, სამართალდამცავი ორგანოები შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ აქტიურად განაგრძობენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებას. როგორც მონიტორინგისას გამოვლინდა, მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაკავება ძირითადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა) და 150-ე (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) მუხლების საფუძველზე ხდება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, წვრილმან ხულიგნობად მიიჩნევა საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ გადაცდომად მიიჩნევა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (150-ე მუხლი) თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებად მიიჩნევს სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურ შესრულებას შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე; ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსებას ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი.

გემოაღნიშნულ შემთხვევებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ დაკავებასა და

⁵⁷ იხ.: საქმე Frydlander v. France, §43, ECHR. 27 ივნისი. 2000 წელი.

⁵⁸ იხ.: საქმე Konig v. Germany, §98, ECHR. 28 ივნისი, 1978 წელი.

⁵⁹ **მაგალითად:** ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე; ბესიკ თამლიანის საქმე; ნიკანორ მელიას და მურაბ ადვიშვილის საქმე მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე; ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე; გიორგი მუმლაძის საქმე; მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე; ირაკლი ოქრუაშვილი საქმე; კობა კოშაძის საქმე, რომლის არსებითი განხილვის სხდომა 1 წელზე მეტია, არ ჩანიშნულა; გიორგი რურუას საქმე (მეორე ინსტანცია); ლევან იმერლიშვილს, გიორგი ესიაშვილის და მინდია ამბარდნიშვილის საქმე (ყოფილი სპეცრაზმელების საქმე); გიორგი უგულავას საქმე.

ადმინისტრაციულ პატიმრობას. ადმინისტრაციული დაკავება უზრუნველყოფის ღონისძიებაა, ხოლო პატიმრობა ადმინისტრაციული გადაცდომისათვის დადგენილი ყველაზე მკაცრი სახდელი. როგორც ადმინისტრაციული დაკავება, ასევე ადმინისტრაციული პატიმრობა არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირობებში, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება, საფრთხეს უქმნის პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების და სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვას.

ამას მოწმობს საანგარიშო პერიოდში გამართული საპროტესტო აქციებისა თუ სხვა სახის პოლიტიკური სახის შეკრებებისას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სამართალდამცავთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ არაერთი დემონსტრანტისა თუ სამოქალაქო აქტივისტის ადმინისტრაციული წესით დაკავება/დაპატიმრება.

სასამართლო სხდომების მონიტორინგის დროს გამოვლენილი შემთხვევები მოწმობს, რომ სასამართლო სამართალდარღვევის დადასტურებას ახდენს ისე, რომ არ ამოწმებს პოლიციელის მოქმედების კანონიერებას, ან თუ ამოწმებს, შემოწმება ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ იმის დადგენით, აქვს თუ არა პოლიციას ზოგადად კონკრეტული მოქმედების განხორციელების უფლება და არ მსჯელობს, განსახილველ შემთხვევაში პოლიცია რამდენად სწორად იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ამგვარი პრაქტიკით, პოლიციელს ეძლევა შესაძლებლობა, აქციის მონაწილეებს დასაბუთების გარეშე შეუზღუდოს შეკრების ჩატარების ადგილისა და ფორმის არჩევის უფლება, აღკვეთოს მისი თავისუფლება და მის მიმართ არალეგიტიმურად გაატაროს მკაცრი ღონისძიებები.

უმეტესწილად, სასამართლო შესაბამისი სტანდარტით არ იკვლევს სამართალდარღვევის ოქმებს. სასამართლო სხდომებზე ადვოკატები მიუთითებენ, რომ ასეთ ოქმებში, ძირითადად, სამართალდარღვევის შინაარსი ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლება და არც ერთი მათგანი არ მოიცავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების და სამართალდარღვევის არსის დეტალურ აღწერას. ოქმებში კეთდება ჩანაწერები მხოლოდ იმის შესახებ, რომ დაკავებული პირი არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, არ ემორჩილებოდა პოლიციის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას, შეეწყვიტა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში ოქმებში უფრო ზოგადი ხასიათის მითითებებია, რომელთა თანახმად, დაკავება მოხდა წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო და ა.შ.

მონიტორინგის დროს გამოვლენილ მწვავე პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ რამდენიმე შემთხვევაში, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირების ფაქტობრივი დამკავებლები არ იყვნენ ოქმების შემდგენები. როგორც წესი, ოქმის შემდგენი პირები აცხადებდნენ, რომ რეალურად მათ დააკავეს პასუხისგებაში მიცემული პირები, მაგრამ დაკავებულები საპირისპიროზე მიუთითებდნენ. გარკვეულ შემთხვევებში ეს ტენდენცია სხვა მტკიცებულებებითაც დასტურდებოდა. საანგარიშო პერიოდში, მხოლოდ ერთ საქმეში განაცხადეს ოქმის შემდგენმა პირებმა, რომ მათ მიერ არ მომხდარა პასუხისგებაში მიცემულ პირთა ფაქტობრივი დაკავება. მსგავსი პრაქტიკა გავლენას ახდენდა სასამართლოში საქმის განხილვის შედეგებზე.

დისტანციური სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში რამდენიმე სასამართლო სხდომა დისტანციურად ჩატარდა. სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, ზოგადად, მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, კორონავირუსის პანდემიის გამო, დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები. ბრალდებულთა უმრავლესობისთვის ეს წარმოადგენდა ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობაში ხელშემშლელ ფაქტორს. ამასთან, წინა წლის მსგავსად⁶⁰, ტექნიკური ხარვეზების გამო, პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა. თუკი ერთდროულად ორი ან მეტი პირი საუბრობდა, ხმა აღარ ისმოდა და პროცესის მონაწილეებს, მათ შორის - მოსამართლეებსაც, უწევდათ დასმული შეკითხვის გამეორება, რაც აჭიანურებდა და შეუძლებელს ხდიდა სხდომის გაგრძელებას. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლო სხდომის მონაწილეების ხმა მეორდებოდა ან/და გაუგებრად ისმოდა. აღნიშნული პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება. ასევე, უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო სხდომები იწყებოდა დაგვიანებით ან/და ხდებოდა მათი გადადება.

რაც შეეხება მონიტორთა დასწრებას, ზოგიერთ სასამართლო სხდომაზე, პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ როგორც დისტანციურად, ისე სასამართლო სხდომის დარბაზში დასწრებაც, ხშირად, მხოლოდ მას შემდეგ იყო შესაძლებელი, რაც ოფიციალურად, განცხადებით მიმართავდა ორგანიზაციის სასამართლო მონიტორი საქმის განმხილველ მოსამართლეს და ითხოვდა პროცესზე დასწრებას.

შეჯამება

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 32 საქმის სასამართლო მონიტორინგის შედეგების ამსახველი შუალედური ანგარიში მოიცავს სამართლიანი სასამართლოს პრობლემურ საკითხებს, რომლებიც მონიტორებისა და ანალიტიკოსის მიერ არის იდენტიფიცირებული და რასაც მონიტორინგის მიმდინარეობისას სისტემური ხასიათი ჰქონდა.

წინა წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში, იდენტიფიცირებულია შემთხვევები, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე საუბრობენ ბრალდებულთა ბრალეულობის შესახებ, რითაც არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, რაც ხელს უწყობს ბრალდებულ პირების საზოგადოების თვალში დამნაშავედ წარმოჩენას. ამასთან, ასეთი განცხადებები, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე პროკურატურის მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალურობის შესახებ.

ზოგადი შეფასებით, სასამართლო პროცესებზე მხარეთა თანასწორობისა და შეკიბრებითობის პრინციპები დაცული იყო. დაცვასა და ბრალდებას საკუთარი პოზიციების გამოხატვის თანაბარი საშუალება ჰქონდათ. მათ შეეძლოთ შეუფერხებლად ესარგებლათ საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით.

პრობლემურია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვისას, ალკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენებისას (განსაკუთრებით - პატიმრობა) არ გაითვალისწინა ეროვნული და

⁶⁰ იხ.: სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში: <https://bit.ly/3lnH7XJ>

საერთაშორისო სტანდარტები, შედეგად, არათანაზომიერად შეიზღუდა ნიკანორ მელიას, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებები, დაუსაბუთებლად მოხდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. ნიკანორ მელიას საქმეში, საზოგადოების დიდი ინტერესის არსებობის მიუხედავად, პროკურატურა შეენინა აღმდგენა სხდომის ვიდეოგადაღებას და ამ გზით პროცესის გასაჯაროებას.

საანგარიშო პერიოდში, სასამართლო სხდომების მონიტორინგისას, სასამართლომ მხოლოდ ერთხელ (1) გამოიყენა დისციპლინური ღონისძიება. რამდენიმე შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ მოწვეულმა მოწმეებმა მოგვიანებით ჩვენებები შეცვალეს.

თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, დაცვის მხარის ზოგიერთი წარმომადგენელი პროცესის შესახებ პოლიტიკურ განცხადებებს ინტენსიურად ავრცელებდა, მათ შორის, სასამართლო სხდომებზე. სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას საზოგადოების წარმომადგენლები და პოლიტიკური ჯგუფები ბრალდებულების მხარდამჭერ აქციებს მართავდნენ.

მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე ან/და კოვიდპანდემიაზე მითითებით, ხშირად ხდებოდა სასამართლო სხდომების გადაღება. ზოგიერთ საქმეზე განსაკუთრებით ინტენსიურად ჩაინიშნა სხდომები. მაგალითად, ნიკა გვარამიას საქმეზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა/დაკავების საქმეებზე, ბრალდების მხარის მოთხოვნა სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ, დაუსაბუთებელი და შაბლონური იყო; მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თითქმის 100% პოლიციელი მოწმეების ჩვენება იყო.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა/დაკავების საქმეებზე ადმინისტრაციული პატიმრობის მოთხოვნა მხოლოდ აბსტრაქტულ მსჯელობასა და პოლიციელთა არათანმიმდევრულ, არადამაჯერებელ და, ხშირ შემთხვევაში, არალოგიკურ საეჭვო ვარაუდებს ემყარებოდა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ, ძირითადად, სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ მიმდინარე სავარაუდო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, სასამართლო მხოლოდ ბრალდების დადგენილებასა და პოლიციელი მოწმეების ჩვენებებს ეყრდნობა.

ხშირ შემთხვევაში, პრობლემურია დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილების საკითხი; უარის თქმის საფუძველები კი დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისია.